ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

jhif,fsb7 @$ ltrtv,thb7 @)!@ 1305 (5995) afcb5 #) stshb

20 დეკემბრიდან!
3ფ[ფკბ სფჯ,ფ4
+
უფკბკტჯ
უფკბკტბ
* კფჰბ




# კბილაშვილს გადაყენება არ ემუქრება“



გვ.5

## არის თუ არა დაპირისპირება პროკურატურაში

## გელა ხუციშვილი: საქართველო კავკასიონზე კონტროლს კარგავს!“

გვ.3



## მიწისძვრის შედეგად ქობულეთში ერთ-ერთ სახლს კედელი ჩამოენგრა

მიწისძვრის შედეგად ქობულეთში ერთ-ერთ სახლს კედელი ჩამოენგრა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა, ნინო გიორგობიანმა განუცხადა, მიწისძვრის შემდეგ საგანგებო სიტუაციების სამსახურში ჯერჯერობით მხოლოდ ეს შეტყობინებაა შესული. „სხვა შეტყობინებები ჯერ არ შემოსულა“, – აღნიშნა ნინო გიორგობიანმა.

გუშინ საქართველოში 17:31 საათზე 5,7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის ეპიცენტრი შავ ზღვაში, საქართველოს სანაპირო ზოლიდან 46 კილომეტრში მდებარეობდა.

მიწისქვეშა ბიძგები 10 კმ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა. რყევები განსაკუთრებით იგრძნობოდა დასავლეთ საქართველოში, აგრეთვე – თბილისშიც. აღსანიშნავია, რომ მიწისძვრის შემდეგ დასავლეთ საქართველოში შეფერხებულია სატელეფონო კავშირი.

ინტერპრესნიუსი

## მიხეილ სააკაშვილი: ნაციონალები ძალიან მალე დავბრუნდებით!“



გვ.3

## ალექსანდრე თვალჭრელიძე: ვადამდელი არჩევნები ნაციონალებისთვის დამღუპველი იქნება!“



გვ.6

## ჯონდი ბაღათურია: დავითაშვილსა და ბერძენიშვილს პრეზერვატივებისთვის არ უნდა ეცალოთ!“



გვ.4

## ვინ ახორციელებს ზეწოლას სასამართლოს მანდატურებზე?!

გვ.4



## ილია II: ხშირად ადამიანები უფალს სხვადასხვა თხოვნით მიმართავენ, თუმცა, მისთვის მადლობის შეწირვა ავიწყდებათ“

გვ.2



## თინათინ ხიდაშელი: პრეზიდენტს სერიოზული პრობლემები აქვს“

გვ.2



## ვაჟა ოთარაშვილი: ნაციონალებმა ციხეში 50.000 კაცი ჩაყარეს“

გვ.2

9 771987 938006

**11** მედვედევმა აპოკალიფსის გადადება ყველას მიულოცა

**6** ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმეტესობა ალკოჰოლს ეტანება

**11** პაკისტანში მოგზაური ცოცხლად დაწვეს

**11** ყირიმში სტალინის გამოფენა დაარბიეს

# ვაჟა ოთარაშვილი: ნაციონალებმა ციხეში 50.000 კაცი ჩაყარეს“

შორენა კოწოწაშვილი

**როგორი გამოხმაურება აქვს საზოგადოებაში წინა ხელისუფლების მაღალჩინოსანთა პროკურატურაში დაბარებას და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება გაიმყაროს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მწერალ ვაჟა ოთარაშვილთან.**



***— ბატონო ვაჟა, როგორ შეაფასებდით ხელისუფლების სამართლებრივი ბრძოლის გზაზე პრეზიდენტის გუნდის მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს პოლიტიკური დევნის შესახებ და ხომ არ გასცდა მართლაც „ქართული ოცნების“ მთავრობა სამართლებრივი ბრძოლის ჩარჩოებს?***

— სასაცილოა, როცა ნაციონალები იძახიან, რომ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს, იმიტომ რომ ეს ის ბანდაა, რომელმაც საქართველოს მოსახლეობა დაატერორა; რომელმაც საქართველოს მოსახლეობას, სხვათა შორის, მაღალ კულტურულ ერს, თავს მოახვია თავისი მდაბალი, ბინძური და ანტიჰუმანური ზრახვები. ეს ის ნაციონალური ბანდაა, რომელმაც 50 000 კაცამდე ჩაყარა ციხეში; ეს ის ბანდაა, რომელმაც საპიაროდ ააგო დემოკრატია მსოფლიოს თვალში ნაცრის შესაყრელად, მოატყუა ევროპაც და ამერიკაც და ეს ის ბანდაა, რომელმაც 9 წელი გააწამა საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა. ის მაოხრებელი გზირივითაა, რომელიც მიდის და ვეღარ მიდის – თავის სისხლიან და ბინძურ კვალს ტოვებს. სამარცხვინოა მათგან ამისი მოსმენა. მათ ჰგონიათ, რომ ქართველმა ერმა ისტორიული მეხსიერება დაკარგა. ავიწყდებათ, როგორ ანგრევდნენ ეკლესიებს. როგორ უცვივდებოდნენ ხალხს სახლებში, როგორ ბომბავდნენ სახლებს, როგორ აწამებდნენ ციხეებში, როგორ ხოცავდნენ ქუჩაში უდანაშაულო ახალგაზრდობას და როგორ ატერორებდნენ ბიზნესს. აი, ეს ხალხი, რომელმაც უამრავი სისაძაგლე ჩაიდინა, დღეს ლაპარაკობს დემოკრატიაზე, კანონსა და ღირებულებებზე. მგონია, რომ უმრავლესობა მოუმზადებელი შეხვდა თავის გამარჯვებას. ეტყობა, ივანიშვილი ქართველი ხალხის ნების ასეთ მკვეთრ გამოხატვას არ ელოდა. გასაგებია, რომ შეთითხნილი 40% მიიღეს ნაციონალებმა, მაგრამ, ვფიქრობ, უმრავლესობისგან უფრო რადიკალური ნაბიჯებია გადასადგმელი. რატომღაც მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი წააგავს იმ ძალიან ძლიერ ფორვარდს, ფეხბურთელთა გუნდს რომ შევადაროთ, რომელსაც თავისი გუნდი კარგად ვერ უგებს ანუ ვერ ჰყვება იმ ტემპში, იმ ფილიგრანულ ტექნიკაში, რომელსაც ეს კაცი ახორციელებს.

***— თქვენ ამბობთ, რომ უფრო რადიკალური ნაბიჯებია ახალი ხელისუფლების მხრიდან საჭირო. ამას როგორ მიიღებს დასავლეთი, რომლის ინტერესებსაც საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის ითვალისწინებს? ხომ ვნახეთ, უკვე პოლიტიკური ნიშნით დევნის მინიშნება გააკეთეს და ეს ნაციონალებმაც ხელზე დაიხვიეს.***

— ჯერ კიდევ ციცერონმა თქვა, შენ გმართებს, ხელმძღვანელობდე საკუთარი ჭკუით, როცა ქვეყნის მეთაურს ელაპარაკები. სად იყო ის დასავლეთი, როდესაც საქართველოში ყოველწლიურად ათიათასობით ადამიანის უფლება ირღვეოდა?! როდესაც 7 ნოემბერს ათასობით ადამიანი დაარბიეს, მოწამლეს და მთელმა ევროპამ აღნიშნა, რომ ძალის გადამეტებას ჰქონდა ადგილი; სად იყო ევროპა, როდესაც 26 მაისს სისხლიანი კალო მოაწყვეს რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ და ა.შ. მე ერთი ვიცი, ევროპა და დასავლეთს რომ ვიძახით, ეს ხალხი არ უნდა შეურაცხვყოთ. სააკაშვილის გუნდს მოსყიდული ჰყავს იქ თავისი ლობისტები, რამდენიმე ათეული ადამიანი, რომელსაც, როგორც ამბობენ, საქართველოში უკანონოდ ნაშოვნი ფულით ყიდულობენ და სასურველ წერილებს აწერინებენ. სხვათა შორის, ასეთი ადამიანები მაღალ ეშელონებშიც ჰყავთ. მე არ მიკვირს, რომ ასეთი ადამიანებიც ჰყავდეთ მოსყიდული, რომ ასეთი „შავი ფული“ ტრიალებდეს მაღალ კულუარებშიც. ეს არ არის გამორიცხული, ამას არაერთი ადამიანი ამბობს. ევროპა და დასავლეთი სწორად ვერ აფასებენ იმ მოვლენებს, რომლებიც დღეს საქართველოში ხდება. დღეს ქართველი დემოკრატიული საზოგადოება მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას. ძალიან კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნაციონალური მოძრაობა არის კრიმინალური ბანდა, რომელიც ციხეში უნდა იჯდეს და ეს აქამდეც უნდა გაკეთებულიყო. დღეს ციხეში რომ არ სხედან ეს ადამიანები, ეს არის ჩვენი სასამართლო სისტემის უუნარობის ბრალი, უფრო სწორად, სასამართლოსი, რომელიც ჯერ კიდევ სააკაშვილის ძმის უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნული მოსამართლეებითა და კოტე კუბლაშვილის ხელდასხმით არის დაკომპლექტებული. როგორც ჩანს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს პარლამენტიდან ინსტრუქციებს ისევ პავლე კუბლაშვილი აძლევს. აი, ამის ბრალია, რომ ჩვენი თემიდა მართლაც თვალახვეული და თავზე ლაფდასხმული. ის ინერციით ისევ ნაციონალების შეკვეთებს ასრულებს. სასამართლოს მოსამართლეთა 99% სულგაყიდული და უნამუსოა.

***— მოდით, პრეზიდენტის ბოლო განცხადებები შევაფასოთ, რომელიც ფიქრობს, რომ ამ მასშტაბის დაჭერები საქართველოში არ ყოფილა და რომ ციხეები გაივსო. აპრილზე კეთდება აქცენტი. თქვენი აზრით, რევანშის შანსი აქვს პრეზიდენტის გუნდს?***

— მიშა ქოსატყუილასი ალარავის სჯერა. სააკაშვილი სიყალბის ორატორი და დიდოსტატია. ნაციონალების რევანში და პრეზიდენტის მოწოდებები, რომ ამისთვის ემზადება, სისულელეა. ისინი აგონიაში არიან, იციან, რომ სამართალი გაიმარჯვებს და ყველას პასუხი მოეთხოვება. მე, მაგალითად, მომხრე ვარ, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს. ხალხი აირჩევს იმას, ვისზეც ფიქრობს, რომ პარლამენტში უნდა იყოს. სხვათა შორის, გამოჩნდა ოპოზიციური ძალა, რომელსაც ჰქვია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ დავით თარხან-მოურავის თავმჯდომარეობით, რომელსაც საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვს. ჩატარდეს ახალი არჩევნები და ნახავთ, რომ ნაციონალური მოძრაობა 5%-იან ბარიერსაც ვერ გადალახავს. რა თქმა უნდა, არჩევნები ახალი საარჩევნო კომისიის პირობებში უნდა ჩატარდეს. აბსოლუტურად ვეთანხმები ივანიშვილს, რომელიც აცხადებს, რომ იგი მზად არის, გაზაფხულზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს. ეს არჩევნები აუცილებლად უნდა ჩატარდეს, რათა საკანონმდებლო საარჩევნო გზით დავასამაროთ, ხოლო შემდეგ გავასამართლოთ ნაციონალური ხელისუფლება.

***— პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ „ქართულ ოცნებას“ ადგილობრივ და საპრეზიდენტო არჩევნებში მოგების შანსი არ აქვს.***

— სააკაშვილი არის ჩვეულებრივი მატყუარა. აბა, სხვას რას იტყოდა.

***— გამორიცხავთ, რომ ქვეყნის გარეთ ახალი სცენარი იწერებოდეს სააკაშვილის გუნდის სასარგებლოდ და ისევ ხელისუფლებაში მოსაყვანად? ამბობენ, იმავე ღირებულების ახალი პარტია შეიქმნება სხვა სახელწოდებით და ნაციონალების ლიდერები ჩრდილოვან მართვას განახორციელებენო.***

— მოქალაქეთა კავშირმაც იცვალა სახე და ნაცმოძრაობად გადაიქცა, სადაც არიან მაჭავარიანები, გოგორიშვილები და ა.შ. სახეცვლილი ლიდერები რას ნიშნავს, ვნახეთ და ამას ქართველი ხალხი აღარ დაუშვებს. „ქართულმა ოცნებამ“ გამყოფი ხაზი გაავლო. თუმცა, „ოცნებაშიც“ არიან ნაციონალების ძველი განაყოფები.

***— რითი ახსნიდით პრეზიდენტის ასეთ ტონსა და მის ნაბიჯებს, იმით ხომ არა, რომ მალე, როგორც მთავარმა პროკურორმა განაცხადა, პრემიერ ზურაბ ჟვანიას საქმე გაიხსნება და საჯარო გახდებიან ის პირები, რომლებსაც პრემიერის მკვლელობაში მიუძღვით ბრალი? პოლიტიკოსების ნაწილი ფიქრობს, რომ კვალი პრეზიდენტამდე მივა.***

— სააკაშვილი კურდღელივით მშიშარაა და ყველაფერს შიში ალაპარაკებს. ყველა ფული, ყველა წილი, ყველა ეს უკანონო შემოსავალი სააკაშვილის განდიდებასა და მისი ქისის გამდიდრებას ხმარდებოდა. აბსოლუტურად ყველა ბიზნესი მასთან იყო დაკავშირებული, პლუს ყველა ის ბინძური მკვლელობის საქმე, ჟვანიას მკვლელობის ჩათვლით. ეს კვალი მასთან მიდის. სააკაშვილმა ეს ძალიან კარგად იცის და ამიტომ აკანკალებს. რა ქნას, ხომ ვერ გაიქცევა ისე, როგორც გორის ქუჩებში თვითმფრინავს რომ თვალი მოჰკრა. საპიარო გამოსვლებში უნდა ხალხი ატყუოს, სხვა გზა არ დარჩენია. მისი ღია კაპიტულაცია იმას ნიშნავს, რომ იმავე დღეს უნდა დაიჭირო მთელი მისი ღორხროვა – ადეიშვილები, შაშკინები, უგულავები, ბოკერიები და ა.შ. ესენი მილიარდებს კარგავენ და ამას უფრთხილდებიან. 9 წლის განმავლობაში იმავე უგულავამ და სხვებმა მილიონები იშოვეს დედაქალაქის მოსახლეობის ხარჯზე. ნებისმიერ ბიზნესში წილი ჰქონდათ.

***— ნიკა გვარამიას დაჭერა-გათავისუფლებაზე რა აზრის ხართ?***

— სააკაშვილის ხელისუფლებაში ნამუსიანი და ქართული ცნობიერების კაცი ვერ იმუშავებს. გვარამიაც ისეთივე გარყვნილი და გახრწნილია სულიერად, როგორიც სააკაშვილის ხროვის ნებისმიერი წევრი. სამწუხარო ერთი ფაქტია, რომ იუსტიციის სამინისტრო და გენერალური პროკურატურა მუშაობს, სასამართლო ხელისუფლება კი ხელში ისევ ნაციონალურ ხროვას უპყრია კოტე კუბლაშვილის ხელმძღვანელობით.



## ილია II: ხშირად ადამიანები უფალს სხვადასხვა თხოვნით მიმართავენ, თუმცა, მისთვის მადლობის შეწირვა ავიწყდებათ“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ღვთისადმი მადლიერების აუცილებლობაზე იქადაგა.

როგორც პატრიარქმა გუშინდელი საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, ხშირად ადამიანები უფალს სხვადასხვა თხოვნით მიმართავენ, თუმცა, მისთვის მადლობის შეწირვა ავიწყდებათ.

უწმინდესმა სახარების ის ნაწილი გაიხსენა, რომელიც დღევანდელ წირვაზე იყო წაკითხული და რომლის თანახმადაც უფალმა ათი კეთროვანი განკურნა, თუმცა ათიდან მხოლოდ ერთმა შესწირა უფალს მადლობა განკურნებისთვის.

„ეს თითქოს ჩვენს შესახებ არის დაწერილი. ხშირად ვთხოვთ უფალს რაიმეს შესრულებას და მადლობის შეწირვა გვავიწყდება. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც ლოცვას აღვასრულებთ, მადლობა და დიდება შევწიროთ უფალს ყველაფრისთვის“, — ბრძანა უწმინდესმა.

ქადაგებისას უწმინდესმა კიდევ ერთხელ ისურვა საქართველოს გამთლიანება. „ღმერთმა ინებოს მშვიდობა, სიხარული და სიყვარული სუფევდეს საქართველოში, გამთლიანდეს საქართველო. ღმერთმა დაგვიბრუნოს აფხაზეთი და სამაჩაბლო“, — ბრძანა უწმინდესმა.

ქადაგების დასასრულს პატრიარქმა დეკანოზები დავით ჯანელიძე, რომანოზ აბზიანიძე, ნიკოლოზ უნდილაძე და სამოელ ზვიადაური გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.

ინტერპრესნიუსი

## თინათინ ხიდაშელი: პრეზიდენტს სერიოზული პრობლემები აქვს“

ოცნებას კაცი არ მოუკლავს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მიხეილ სააკაშვილის დღევანდელი გამოსვლის კომენტირებისას საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა თინათინ ხიდაშელმა განუცხადა.



მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტს სერიოზული პრობლემები აქვს, რადგან ვერ მიხვდა, რა მოხდა პირველ ოქტომბერს. „პოლიტიკური რეაბილიტაციის შანსი, ბუნებრივია, ყველას აქვს, მაგრამ ამას სჭირდება იმის გაცნობიერება, რა მოხდა 1-ელ ოქტომბერს. მე არ მაქვს იმის განცდა, რომ ისინი მიხვდნენ, რა მოხდა 1-ელ ოქტომბერს. ჩვენ არ მოგვისმენია მათგან სინანული, ბოდიშის მოხდა იმ ყველაფრისთვის, რაც 9 წლის განმავლობაში ხდებოდა. ამის ნაცვლად ვისმენთ მუდმივ შეურაცხყოფას და იმავე რეჟიმშია „ნაციონალური მოძრაობა“, რაშიც იქამდე. მიხეილ სააკაშვილი შეურაცხყოფას აყენებს ყველას, ვინც განსხვავებულად აზროვნებს. ასეთ ძალას პოლიტიკური მომავალი არ აქვს“, — განაცხადა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ ისევე, როგორც ყოველთვის, დანარჩენი ქვეყნისგან განსხვავებულ თემატიკაზე საუბრობს. „ადამიანზე, რომელიც ასე მეტყველებს, ძალიან რთულია რაციონალური პასუხების გაცემა. როდესაც იგი ამბობს, რომ ჩვენ გადავასწარით რამეში, მაინტერესებს რაში გადავასწარით — ახალი სანდრო გირგვლიანი მოვკალით თუ სახლებში შევუვარდით ვინმეს?! სააკაშვილს გაახსენდა წარსული, როგორ უვარდებოდნენ სახლებში ტელეკამერებითა და იარაღით ყველას და ღამის პიჟამოებში ჩაცმული ოჯახების აწიოკებას ყველას აყურებინებდნენ. საბედნიეროდ, ქართველ ხალხს ამნეზია არ აქვს. ასეთ რამეებს საზოგადოება არ პატიობს. თუ ის ასე გააგრძელებს, პოლიტიკურად ეს ჩვენთვის კარგია, რადგან ეს მუდმივად აჭედებს ლურსმანს იმ პოლიტიკურ კუბოზე, რომელიც 1-ელ ოქტომბერს მას ქართველმა ხალხმა აჩუქა. მაგრამ არ არის კარგი ქვეყნისთვის, როდესაც მისი პრეზიდენტი ასეთ მდგომარეობაშია“, — აღნიშნა ხიდაშელმა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# მიხეილ სააკაშვილი: ნაციონალები ძალიან მალე დავბრუნდებით!“

შორენა მარსაგიშვილი

**ბოლო რამდენიმე დღეა, რაც მიხეილ სააკაშვილმა ადრინდელი რიხი დაიბრუნა და ძველებური განცხადებების გაკეთება დაიწყო. აქამდე თუ კოჰაბიტაციისკენ მოუწოდებდა მეოცნებეებს, ახლა მათ წყევლა-კრულვაზე გადავიდა, დაცინვაც დაუწყო და შეურაცხყოფასაც არ ერიდება.**
**პრეზიდენტი 19 დეკემბრის ინციდენტის შემდეგ არის გაღიზიანებული. ამ დღეს მას ქუთაისში უსიამოვნო სიურპრიზი დაახვედრეს. იმ დღიდან მოყოლებული, ქვეყნის პირველი პირი არ გაჩერებულა. ნიკა გვარამიასა და ალეკო ხეთაგურის დაკავებამ ხომ სულ მთლად გადარია. აღშფოთებულმა პრეზიდენტმა თავის გრძნობებს გუშინ ნაციონალების კონფერენციაზეც მისცა გასაქანი.**

— საქართველოს სამართლებრივ ლექსიკონში გუშინ ახალი ბრალდება გაჩნდა. თქვეს, რომ ადამიანი დასაპატიმრებელია, ჩვენი მთავრობის ყოფილი წევრი, ვინაიდან მისი ინტელექტი პირდაპირი ნიშანია, რომ არ შეიძლება მისი გარეთ სიარული. თუ ამ ნიშანს ავყვებით, დღევანდელი მთავრობის არც ერთ წევრს მომავალში დაპატიმრება არ ემუქრება. ამ ღონისძიებაზე იმისთვის არ მოვედი, რომ დღევანდელ მთავრობას ისტერიკულად შევუტიო. „ამათ ამ თვე-ნახევრში უფრო მეტი შეცდომა დაუშვეს, ვიდრე ჩვენ – 8 წლის განმავლობაში. ახლა ამათი ჩამოთვლა რომ დავიწყო ყველასი, მე მგონი, არ იქნებოდა სწორი. განსხვავება იყო მხოლოდ ერთი – ჩვენ ვიცოდით, სად მივდიოდით. აქ კი ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება იცის, სადაც მივდივართ და გეოგრაფიის რომელი მიმართულებით, მაგრამ სხვებს ამას არ უზიარებენ, რადგან იციან, ძალიან არაპოპულარული იქნებოდა. ბევრი იქნებოდა სათქმელი იმ საარჩევნო დაპირებებზე, რომელიც მთავრობაში მოსვლიდან თითქმის ორ საათში პრაქტიკულად ოცნების სასაფლაოზე, როგორც მათი ერთი კინოკლასიკოსის ფილმის სათაურია, მოისროლეს, – აღნიშნა სააკაშვილმა.

თავის გამოსვლაში პრეზიდენტი კიდევ ერთხელ შეეხო ამნისტიას და პროტესტი გამოთქვა გარკვეული ადამიანების გათავისუფლების გამო, ამასთან, გაგვაფრთხილა, ასე ნატოში ვერ შევალთო.

— ევროკავშირისა და ნატოს მსურველმა ტელევიზიაში შეჭრილი და ჟურნალისტების ცემაში ბრალდებული ფანატიკოსები პოლიტიკურ წამებულებად არ უნდა გამოაცხადოს. არ შეიძლება, ამავე დროს, დაიჭირო ხალხი, რომელმაც შექმნა ახალი ევროპული ინსტიტუტები, გაათავისუფლა საქართველო პოლიტიკური კორუფციისგან და თანამედროვე რელსებზე დააყენა – ეს ერთდროულად არ ხდება. ან შენ ხეთაგურს, გვარამიას, დამენიას, ნიკა გილაურს ატარებ ცხვარივით აქეთ-იქით დაკითხვებზე, ვანო მერაბიშვილს ედავები სრულ იდიოტიზმს, ან გინდა ნატოსა და ევროკავშირში შესვლა. ორივე ერთად არ ხდება, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

დაკითხვაზე სააკაშვილი თავადაც ბევრს დაატარებდა. ისე, საინტერესოა, მის მიერ ჩამოთვლილი ხალხი დაკითხვაზე ჭედილებივით რომ ატარონ, ნატოს კარს გაგვიღებენ?

მიხეილ სააკაშვილს თავის გამოსვლებში ხშირად უყვარდა ფრაზის „პირველად საქართველოს ისტორიაში“ გამოყენება. ამ ფრაზაზე უარიც არ გუშინ უთქვამს.

— ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქართველოს ისტორიაში პირველად შექმნა პოლიტიკური ერთობა. მთელი ეს წლები ჩვენ ვერ გაგვტეხა ვერც საგარეო აგრესიამ და ვერც შიდა ხრიკებმა. ახლა ვისაც გადაწყვეტილი აქვს, რადგან ვერ გაგვტეხეს, უნდათ გაგვანადგურონ, როგორც ისინი იძახიან, სათითაოდ გამოგვიჭირონ ჩვენს სადარბაზოებში და აღმოგვიჩინონ ნარკოტიკები და იარაღები, ჩვენს ოჯახებში შემოცვივდნენ, ჩვენი ოჯახები დაატერორონ, ისინი ჩაფლავდებიან, იმიტომ რომ ვერასდროს იქნებიან ერთიანები. ჩვენი ძალა ერთობაშია. ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, იმ ხალხს, რომელსაც დევნიდნენ, ანადგურებდნენ, ავიწროებდნენ ეს ახლად გამოჩეკილი მონადირეები, მინდა ვუთხრა: შეხედეთ ამ დარბაზს, როგორც არასდროს, მიხარია, რომ აქ შეკრებილთ გხედავთ, როგორც ერთიან, შეკრულ ოჯახს. ჩვენ ვიყავით ერთიანნი, ვართ და აუცილებლად უნდა დავრჩეთ ერთიანნი. განსაკუთრებული ნიჭია აქ თავმოყრილი, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ნარკოტიკებზეც ისაუბრა. კარგა ხანია, მას პოლიტიკოსები ნარკოლოგიური ტესტის ჩაბარებას სთხოვენ. ამის შესახებ განცხადება რამდენიმე დღის წინ დავით საგანელიძემაც გააკეთა. პრეზიდენტი ამ ტესტის ჩაბარებას არ აპირებს. არადა, წლების წინ თავად ითხოვდა, ყველა საჯარო მოხელემ ნარკოლოგიური შემოწმება გაიაროსო. ახლა ამტკიცებს, რომ საქართველოში ნარკოტიკები უპრობლემოდ შემოდის.

— თბილისი შპრიცებით გაივსო და ნარკოტიკები ისევ დიდი რაოდენობით შემოდის. ნარკომანიის დასამარცხებლად ვანო მერაბიშვილს დიდი დრო დასჭირდა. დღეს კი მოვიდა ის ხალხი, ვინც თავის დროზე ცნობილი ნარკობარიგა იყო. რუსეთიდან შემოვიდა დიდი რაოდენობით „კროკოდილი“. მისი მიღების შემდეგ გგონია, რომ წინ მიდიხარ, სინამდვილეში კი იწყებ უკან სიარულს. აშკარად რუსეთიდან შემოტანილი ამ უბედურების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება ქართული პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი და ეს სახეებზეც ეტყობათ, – აღნიშნა სააკაშვილმა.

ისე, რანაირად შემოდის ნეტა რუსეთიდან „კროკოდილი“? როგორც ვანოს დროინდელი პოლიცია ამბობდა, მას ადგილზე ამზადებენ ნარკომანები. სწორედ მაგ მიზეზით გაწყდა საქართველოში „მარგანცოვკა“ და „კროტი“.

ქვეყნის პირველი პირი თავისი გარეგნობით, განსაკუთრებით კი სიმაღლით ხშირად იწონებს თავს. ახლა კი იმის მტკიცება დაიწყო, რომ პუტინსა და ივანიშვილს მისი სიმაღლის შურთ.

— მე არ მაქვს კომპლექსი, რომ მსოფლიო პოლიტიკაში ჩემზე მაღალი პოლიტიკოსებიც არსებობენ. „ერთი ოპონენტი ქვეყნის გარეთ და ერთი – შიგნით ხშირად ღიზიანდება ჩემი და გიგის სიმაღლით. სულ ამაზე ლაპარაკობს. ზოგიერთს გორაკზე ასვლა უწევს, რომ თანაბრად დადგეს. არ მაქვს კომპლექსი, რომ მსოფლიო პოლიტიკაში ჩემზე მაღალი პოლიტიკოსებიც არსებობენ, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ისე, რატომ უნდა გაღიზიანდეს ვინმე სააკაშვილის სიმაღლით? ან სიდაბლე ვის რაში უშლის ხელს. სხვა თუ არაფერი, მარადონა დაბალი იყო, მაგრამ მთელი მსოფლიო მასზე გიჟდებოდა და არც ლეო მესია მაღალი, ფეხბურთის მესიად რომ აღიარა ხალხმა.

ფეხბურთი, როგორც ჩანს, სააკაშვილს არ აინტერესებს. მას ახლა საქართველოში გართულებული კრიმინოგენური ვითარება აწუხებს.

— ჩაცუცქვები დაიწყო ისევ და მინდა ვთქვა, რომ მე მჯერა საქართველოს განათლების და არ მჯერა და არ მივიღებ ქუჩის უნივერსიტეტებსა და მის კურსდამთავრებულებს, რომელთა ნათლია ახლა პარლამენტშია, სამწუხაროდ, მოხვედრილი. არც პარლამენტში და არც სხვაგან მომავალში მათი ადგილი არ უნდა იყოს. ქუჩის აკადემიის დიპლომი არ მიიღება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მე არ ვმალავ, რომ ვეწინააღმდეგები ამნისტიის იდეებს არსებული ფორმით. ეს თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას ურტყამს, – აღნიშნავს ქვეყნის პირველი პირი.

მან თავის მომხრეებს მოუწოდა, იმედი არ დაკარგონ, მხურვალე მხარდამჭერებს კი დაჰპირდა, მალე დავბრუნდებითო.

— ჩვენ დავბრუნდებით საკმარისად თავდაჯერებულად იმისათვის, რომ იმ ხალხთან გვქონდეს დიალოგი, რომელმაც ხმა არ მოგვცა ჩვენი შეცდომების გამო, მაგრამ რომელიც ჩვენს პრინციპებზე დგას, რომელსაც მოსწონდა ჩვენი საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსი, პრინციპები. „ნაციონალური მოძრაობა“ არის ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც თანმიმდევრულად, ბოლომდე აყენებს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მოდერნიზაციის გზაზე. ჩვენ ვართ ყველაზე პატრიოტული პარტია. ჩვენ ვართ ის ხალხი, რომელსაც ძალიან კარგად ესმის, რა მნიშვნელობის ქვეყანას წარმოვადგენთ. ჩვენ მყარად უარვყოფთ ყველაფერს, რაც ხელს უშლის ჩვენს დამოუკიდებლობას, სვლას ევროკავშირისა და ნატოსკენ. ესენიც ამბობენ, რომ ევროკავშირი და ნატო გვინდა, მაგრამ მარტო თქმა არ კმარა, – დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

სააკაშვილი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს. ეს მას ადრეც არაერთხელ უთქვამს. გუშინ მან ეს კიდევ ერთხელ გაიმეორა.

— მიუხედავად დაპატიმრებების, დევნისა და თავდასხმებისა, ჩვენ წინ უნდა ვიაროთ და უნდა ვაშენოთ პარტიაც და მომავალიც. ეს არის პოლიტიკური რინგი. პოლიტიკურ რინგზე ბევრი ორთაბრძოლა მომიგია, მაგრამ ასევე წამიგია. ამ



ბოლო ბრძოლაში წარმოუდგენლად აკრძალული ილეთები გამოიყენეს, მაგრამ შედეგი იყო ჩვენი ნოკდაუნი და არავითარ შემთხვევაში ნოკაუტი. ახლა ცდილობენ, არ გვაცადონ ფეხზე წამოდგომა, იმიტომ რომ ყველაზე მეტად ეს აშინებთ და ცდილობენ ჩვენს განადგურებას, მაგრამ ჩვენ აუცილებლად წამოვდგებით ფეხზე, აუცილებლად გავიმართებით ჩვენს ქვეყანასთან ერთად და, მინდა გითხრათ, არც მე ვაპირებ პრეზიდენტის ვადის ამოწურვის შემდეგ ჩემი მოკრივის ხელთათმანების ჩამოკიდებას სადმე კარადაში, იმიტომ რომ მინდა ვიყო თქვენთან ერთად. ერთ-ერთი თქვენგანი მინდა ვიყო. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. ეს ბრძოლა დასრულებული არ არის და მთავარი ბრძოლები წინ არის. ნოკდაუნი, რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის, მაგრამ ეს ბოლო რაუნდი არ არის და ბოლო რაუნდი ჩვენი და ქართველი ხალხის იქნება. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ! – აღნიშნა პრეზიდენტმა.

იმ დროს, როცა სააკაშვილი მომხრეებს „მოძღვრავდა“, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ფოთში საპროტესტო აქცია გაიმართა. აქცია არასამთავრობო ორგანიზაციამ „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისთვის“ გამართა.

გუშინ ისინი ფოთის ცენტრალურ მოედანზე შეიკრიბნენ და პრეზიდენტ სააკაშვილს გადადგომისკენ მოუწოდეს. მოგვიანებით აქციის მონაწილეებს საზოგადოებრივი გაერთიანება „ფოთელების ხმაც“ შეუერთდა. აქციის ორგანიზატორების განცხადებით, სააკაშვილმა თანამდებობა კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადაში, 5 იანვარს უნდა დატოვოს.

# საქართველო კავკასიონზე კონტროლს კარგავს!“

**საქართველოში დღეს ყველა ნაციონალებისა და მეოცნებეების დაპირისპირებით არის დაკავებული. სხვა პრობლემები აღარავის ახსოვს. არადა, ქვეყნის საზღვრისპირა რეგიონებში ვითარება კატასტროფულია. ძველ ხელისუფლებას ეს ამბავი გულთან ახლოს დიდად არ მიჰქონდა. ამ თემაზე არც პარლამენტში უმსჯელიათ. საქმეს, ისეთი პირი უჩანს, რომ ეს თემა არც ახალ პარლამენტს ადარდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოღვაწეობას ბუსუსებიანი პრეზერვატივების სტრუქტურის განხილვით არ დაიწყებდნენ.**
**ამ დროს ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საქართველოს მთიანეთის მცოცავ აგრესიას აგრძელებს. ამ მხრივ აზერბაიჯანი და სომხეთიც კარგად მუშაობენ. საქართველოში კი დგანან და რაღაცას ელოდებიან. ექსპერტი სასაზღვრო საკითხებში გელა ხუციშვილი საზღვრებზე შექმნილ ვითარებას კატასტროფულს უწოდებს.**
**რა უღელტეხილები დაიკავეს რუსებმა, რა უქმნის ქვეყანას ყველაზე დიდ საფრთხეს, რა ხელშეკრულებები უნდა წამოვწიოთ წინა პლანზე, ამ თემებზე გელა ხუციშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

შორენა მარსაგიშვილი

***— ყველა აღიარებს, რომ რუსეთი აგრძელებს საქართველოს მთიანეთის მცოცავ ანექსიას. თქვენ რას იტყვით შექმნილ ვითარებაზე?***

— მოდით, შევთანხმდეთ, რომ ის, რაც ხდება მცოცავი ანექსია არ არის. რაც ახლა საქართველოს საზღვრებთან ხდება, არის დემოგრაფიული ექსპანსია. დემოგრაფიული და ეკონომიკური ექსპანსიის ფართო გავრცელებას აქვს ადგილი საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში.

***— ყველაზე რთულად საქმე რომელ რეგიონშია?***

— განსაკუთრებით რთული ვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ, სამხრეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრების მონაკვეთებზე. აღარაფერს ვამბობ ცხინვალისა და აფხაზეთის მონაკვეთებზე. იქ ეს პროცესი უკვე დასრულებულია. ამ დემოგრაფიული ექსპანსიის პარალელურად საზღვრისპირა რეგიონებში დიდი ეკონომიკური ექსპანსია იწყება. საზღვრისპირა რეგიონებში რთული ვითარებაა და ის შეიძლება კიდევ გართულდეს.

***— რა შემთხვევაშია ვითარების გართულება მოსალოდნელი?***

— თუ ამ მდგომარეობით განვავითარებთ ტრასსასაზღვრო ევრორეგიონალიზმის პრინციპების მხარდაჭერას, ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით სავალალო ვითარება შეგვექმნება.

***— უშუალოდ საზღვრის გადმოწევაზე რას გვეტყვით. არის ინფორმაცია, რომ რუსებმა საზღვარი გადმოსწიეს თუშეთში. ამბობენ, რომ ამ მხრივ სომხები და აზერბაიჯანელებიც კარგად მუშაობენ. ამ თემაზე ხმაურს არავინ ტეხს. არ არის ეს ყველაფერი საგანგაშო თუ რაშია საქმე?***

— რუსებმა თუ წინ წამოიწიეს, ეს არ ნიშნავს, რომ იქ გაავლეს საზღვარი, სადაც ახლა დადგნენ. საქართველოს თურქეთის გარდა ყველა თავის მეზობელთან სახელმწიფო საზღვარი დასადგენი აქვს. უბედურება ისაა, რომ ვერ ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო-სასაზღვრო პოლიტიკა.

***— რა გაქვთ მხედველობაში?***

— ის, რომ ვერ გაგვიგია, რა გვინდა. ვართ პირველი რესპუბლიკის სამართალმემკიდრეები? მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის სასაზღვრო შეთანხმებით. იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა საქართველოს სამართალმემკვიდრეები ვართ, მაშინ 1938 წლის მონაცემები უნდა გავიხადოთ სახელმძღვანელოდ. 1936 წელს გაფორმებული შეთანხმებით, როგორც შევიდა საქართველო საბჭოთა კავშირში, ასევე უნდა გამოსულიყო მისი შემადგენლობით 1991 წელს.

***— რატომ არ გამოვედით ასე?***

— ეს მავანთა დაუდევრობის და უყურადღებობის ბრალია. ახლა სწორედ ამის გამო გვაქვს დაუდგენელი



საზღვარი წითელი ხიდის და შატილის მიდამოებში, ასევე დარიალის ხეობაში. არასწორად არის გაგებული მამისონის მონაკვეთი. ამის წყალობით არის შექმნილი პრობლემები ერისიმედში. საითაც გინდა გაიხედო, ყველგან პრობლემაა. ამ სისტემაში გამეფებულია საშინელი არაკომპეტენტურობა. თუ ვინმეს ამაზე პრეტენზია ექნება, შეუძლია დებატებში გამომიწვიონ. ქვეყანაში არის საშინელი ვითარება. როგორ შეიძლება არ გქონდეს სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკა.

***— კავკასიონზე არსებული გადმოსასვლელების უდიდეს ნაწილს საქართველო აკონტროლებდა. ახლა ისინი რუსეთის ხელში გადავიდა. რა საფრთხეს უქმნის ეს საქართველოს?***

— კავკასიონზე 43 უღელტეხილია, რომელზეც მოძრაობა შეიძლება როგორც საავტომობილო, ასევე საჭაპანე ტრანსპორტით. ამ 43 უღელტეხილიდან 25-ზე რუსეთი უკვე მთლიანად ახორციელებს კონტროლს. მარტო გადასასვლელებს კი არ აკონტროლებენ, არამედ საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში არიან შემოსული. ეს კი ძალიან სახიფათოა.

***— ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ საქართველო კავკასიონზე კონტროლს კარგავს.***

— სამწუხაროდ, ასეა. რუსეთი ამ უღელტეხილების გასწვრივ საავტომობილო გზებს აკეთებს. ეს ნიშნავს იმას, რომ კავკასიონის ქედის გადმოღმა პლაცდარმს იკეთებს.

***— როგორ უნდა შევაჩეროთ რუსეთი? ომის გამოცხადებას აზრი არა აქვს?***

— აქ ლაპარაკი არ არის ძალისმიერ წინააღმდეგობაზე. აქ საუბარია ელემენტარულ, სახელმწიფო-სასაზღვრო პოლიტიკაზე, რომელსაც სახელ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ვინ ახორციელებს ზეწოლას სასამართლოს მანდატურებზე?!

გულიკო ბალაძე

– სასამართლოს დარბაზებში მონტაჟდება მოსასმენი აპარატები სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლოს ნებართვით. ამით ბატონი კოტე კუბლაშვილი დღემდე არ დაინტერესებულა. მაგალითად, თამარ ჭუნიაშვილია მოსამართლე, რომლის პროცესები ისმინებოდა. 26 ოქტომბერს მივმართეთ სასამართლოში არსებული მდგომარეობის თაობაზე და 5 ნოემბერს გაგვათავისუფლეს თანამდებობიდან, – განაცხადეს მანდატურებმა უზენაესი სასამართლოს წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე.

– პროტესტს გამოვთქვამთ იმაზე, რომ არჩევნებამდეც და არჩევნების შემდეგაც ჩვენზე ხორციელდებოდა ზეწოლა. ამ ყოველივეს მათი მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, არ დაინტერესებულა ბატონი კოტე კუბლაშვილი, რომელსაც ჩვენთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა კომენტარი სთხოვეს და არც კი იკადრა ამ ადამიანმა რაიმე განცხადების გაკეთება და ჩვენი პრობლემებით დაინტერესება. სამაგიეროდ, ტელევიზიით გააპიარეს, რომ თურმე ერთ-ერთი მოსამართლის თანაშემწეზე ხორციელდებოდა ზეწოლა და ამას მიაყოლეს დიდი სკანდალი, – აცხადებენ მანდატურები.

– თქვენი ინფორმაციით, მოსამართლის თანაშემწეზე ზეწოლა არ ხორციელდებოდა?

– ზეწოლა ხორციელდებოდა თუ არა, ეს ჩვენ არ ვიცით, რადგან იქ აღარ ვმუშაობთ, გამოგვიშვეს. იქ რომ ვმუშაობდეთ, გვეცოდინებოდა. არჩევნებამდე ჩვენზე ზეწოლა ხორციელდებოდა, სასამართლოს ხელმძღვანელი პირები სამსახურის დატოვებით გვემუქრებოდნენ, ხდებოდა პროცესების მოსმენა – თვითონ კუდის თანამშრომლები გვისმენდნენ. სასამართლოს ხელმძღვანელი პირები თვითონ ესწრებოდნენ მოსასმენი აპარატის მონტაჟს. ახლა გამოდიან და რაღაც აბსურდზე საუბრობენ. ჩვენ ჯერ 26 ოქტომბერს მივმართეთ განცხადებით, შემდეგ – 1 ნოემბერს. ჩვენი პრობლემებით არც თავმჯდომარე მამია ფხაკაძე დაინტერესებულა. სამაგიეროდ, ვანო ზარდიაშვილი (აპარატის უფროსი) ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე გადაიყვანეს. როგორც გავიგეთ, ამ ადამიანს უზენაეს სასამართლოში გადაყვანას უპირებენ. ჩვენ თვალებში ნაცარი შეგვაყარეს. ის ადამიანები კი ისევ მუშაობენ. როგორც შემდეგ გავარკვიეთ, ბატონი კოტე კუბლაშვილის აშკარა ბრძანება იყო, ჩვენ დაუყოვნებლივ გავეშვით. ჩვენი გათავისუფლება მან მოსთხოვა სასამართლოს თავმჯდომარე მამია ფხაკაძეს.

ჩვენ განვაცხადეთ, არჩევნებთან დაკავშირებით რაც ხდებოდა – კუდის თანამშრომელი რომ შემოდიოდა სასამართლოს დარბაზში და სხვადასხვა ადგილზე მოსასმენ აპარატს ამონტაჟებდა. ამას სასამართლოს თავმჯდომარე და სასამართლოს მენეჯერი ესწრებოდნენ და ბატონი კოტე კუბლაშვილი საქმის კურსში იყო. ახლა იძახიან აბსუდულ რაღაცებს, მოსმენებს ვებრძოდითო. ჩვენ შევეკითხეთ, ესენი ვინ არიან და რას აკეთებენო. გვითხრეს, რომ რაღაც ოპერატიული ღონისძიებაა, ყველამ ყველაფერი იცის, საქმის კურსში არიან, თქვენ თქვენს თავს მიხედეთ და თქვენი საქმე აკეთეთო. მრავალ პროცესზე ხორციელდებოდა მოსმენა. ისმინებოდა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ბოლო პროცესი. გარდა ამისა, ნაფიცი მსაჯულები იყვნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები. ნაფიცი მსაჯულებისთვის მოსასმენი აპარატები ჰქონდათ დაყენებული. ამას ჩემი თვალით ვხედავდი. მე ვიყავი ნაფიც მსაჯულებზე მიმაგრებული და ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ აყენებდნენ, რას უსმენდნენ და რას აკეთებდნენ. ჩვენ სამსახურიდან გაგვათავისუფლეს უკანონოდ. დაირღვა საჯარო სამსახურის შესახებ 94-ე მუხლი. მოვითხოვთ, აღგვადგინონ სამსახურში.

მათი განცხადებით, ჩაწერა მათი დავალებით ხდებოდა. ამის თაობაზე თვითონ მათ განგვიცხადეს. კუდის მანქანა შემოდის და გეუბნებიან, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოგზავნილიაო. აქეთ მოსასმენი აპარატების დაყენებას სასამართლოს თავმჯდომარე, ამხელა პიროვნება ესწრება. თბილისის საქალაქო სასამართლო სიდიდით პირველია საქართველოში. ამდენი საქმე არსად განიხილება. სასამართლოს თავმჯდომარე ესწრება, შემოდის კუდი და მინისტრის გამოგზავნილი მანქანა, თანამშრომლები შემოდიან და ამონტაჟებენ საქალაქო სასამართლოში „ჟუჩოკებს“. ვინ ეკითხება კუდს, მოსასმენ აპარატს რომ ამონტაჟებს სასამართლოში, ვინ დაუშვა ეს? ამის თაობაზე ბატონმა კოტე კუბლაშვილმა ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა და მათ ინტერესებში იყო. ამ პრობლემებთან დაკავშირებით, მოსმენებთან დაკავშირებით ჩვენ გვქონდა შეხვედრა ამერიკის საელჩოში. ისინი დაინტერესდნენ, ვინც უშუალოდ ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღებას აფინანსებდა და გრანტებით უზრუნველყოფდა (იუსაიდი). ამერიკის საელჩო დაინტერესდა ჩვენი პრობლემებით. თვი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ჯონდი ბაღათურია: დავითაშვილსა და ბერძენიშვილს პრეზერვატივებისთვის არ უნდა ეცალოთ!“



თამარ ნინიძე

## ინტერვიუ ქართული დასის“ თავმჯდომარე ჯონდი ბაღათურიასთან

***– როცა თქვენ პარლამენტში ელიტურ კორუფციაზე დოკუმენტებს აფრიალებდით, სააკაშვილი ან სხდომიდან გარბოდა, ან ტალახში კოტრიალს გთავაზობდათ. დადასტურდა, რომ კორუფცია პოლიტიკურ ელიტაში იყო?***

– საქართველოში ყვაოდა ელიტური კორუფცია და მის სათავეში იდგა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ჩვენთვის და საზოგადოებისთვის ეს იყო ფაქტი და ახლა ეს უკვე სამართლებრივად უნდა დადასტურდეს იმ მასალების საფუძველზე, რომელიც პროკურატურაში გადაგზავნილია თვეზე მეტია. მე გადავუგზავნე იუსტიციის მინისტრს და მთავარ პროკურორს. არის დაუსაბუთებელი ქონება, პრეზიდენტის სახელზე დაუსაბუთებელი უძრავი ქონება, მისი შემოსავლები არ ეყოფოდა ამ ქონების შეძენას. საუბარია მის სახელზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულ ქონებასა და დეკლარირებულ შემოსავლებზე. ყველა შემთხვევაში პრეზიდენტი ხაფანგშია. უკანონოდ აქვს საჩუქრები მიღებული, ჯამში მილიონ ასი ათას ლარს აღემატება. არის სახელმწიფო ქონების მითვისება, პირდაპირ დევს მტკიცებულებები. არის ბიზნესები ჩამოთვლილი და ფოტომასალით დადასტურებული ქონება, რომელიც მისი დედის მფლობელობაშია. როცა პრეზიდენტი გახდა, მას არანაირი ასეთი ქონება არ ჰქონდა. ამ რვა წლის მანძილზე მან მიიღო ექვსას ოცდაათი ათასი ლარი შემოსავალი. გამოძიებას უნდა დაუსაბუთოს, როგორ შეძლო მან ამ ქონების დაგროვება.

***– როდის ელოდებით პასუხს პროკურატურიდან და დაძრულია ადგილიდან გამოძიება?***

– პასუხს არ ველოდებით, საქმე მთავარ პროკურორს პირად კონტროლზე აქვს აყვანილი, დიდხანს სწავლობს საგამოძიებო ჯგუფი, მაგრამ მასალები ბევრია. ამ დღეებში ვაპირებ შეხვედრას საგამოძიებო ჯგუფთან, ალბათ, დაესწრება მთავარი პროკურორიც, დახმარების მიზნით განმარტებებს მივცემ. ჩვენი ამოცანაა ქვეყანაში სამართლიანობის განცდის აღდგენა.

***– არის ნიკა გვარამია თავისუფალ მედიაზე ზეწოლის მსხვერპლი?***

– ჩემი აზრით, არ არის იმიტომ, რომ ნიკა გვარამიას ეკავა მაღალი თანამდებობები მთავრობაში და პარლამენტში და მხოლოდ მცირე ხნით იყო ის ტელეკომპანიის დირექტორი. რამდენად კანონიერად არის დაპატიმრებული, ამას ვერ გეტყვით. რა ბრალდებასაც უყენებენ გვარამიას, იგივე ბრალდება აქვს სააკაშვილსაც. გვარამიას ბრალდება, რომ შექმნა იურიდიული პირი, სადაც უკანონო თანხები უნდა ჩარიცხულიყო, ზუსტად ასეთი ეპიზოდი არის ჩემ მიერ გადაგზავნილ მასალებში, სადაც პრესიდენტს, მის მეუღლეს და დედას აქვთ იურიდიული პირი შექმნილი და ფულად თანხებს იღებდნენ. მილიონ ასი ათასი ლარი მიღებული აქვს იურიდიულ პირს საჩუქრად, ამ იურიდიული პირის დამფუძნებლები არიან გიული ალასანია, სანდრა რულოვსი და სანდრას დედა. უფრო მძიმე კორუფციის ეჭვებია ამ ეპიზოდში, ვიდრე ნიკა გვარამიას საქმეში, ბევრი ადამიანი იცით, რომლის სიდედრი მილიონიან საჩუქრებს იღებდეს საქართველოში?

***– ეს ორი დღეა სააკაშვილი ისეთივე გახდა, როგორიც იყო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, აგრესიული და შემტევი. როგორ ფიქრობთ, ქვეყანაში კოჰაბიტაციამ ჩაილურის წყალი დალია?***

– ბოლო ორი დღეა სააკაშვილმა აშკარად აიწყვიტა.

***– აწყვეტილობის ეჭვები ადრეც შეინიშნებოდა, მაგრამ 1 ოქტომბრის შემდეგ თითქოს მარცხს შეეგუა და დამშვიდდა. ახლა კი ისევ ისეთი სააკაშვილი მივიღეთ.***

– ჩანდა, რომ იყო შეშინებული და კოჰაბიტაციას ცდილობდა. ორი დღეა ტონი შეცვალა, პატარა ბავშვიც მიხვდება, რომ მას რაღაც გადაწყვეტილება აქვს მიღებული. ამის იმპლემენტაცია დაიწყო, ფონს ამზადებს ამ გადაწყვეტილებისთვის. მაქვს ეჭვი, რომ სააკაშვილი ემზადება მთავრობის დასათხოვნად. პარლამანტის დათხოვნა ექვსი თვე არ შეუძლია, ახლა რომც შეეძლოს, ეს მისთვის წამგებიანია, არჩევნებს ჩაატარებს ეს მთავრობა და ნაცები ბარიერს ვერ გადალახავენ. მთავრობის დათხოვნით სააკაშვილი ორ კურდღელს იჭერს, სოციალური კრიზისი შეიქმნება, მეტიც, კოლაფსი დაიწყება, მერე კი შექმნილ მდგომარეობას დააბრალებს ახალ ხელისუფლებას. მას შეუძლია ახალი მთავრობის წარდგენა, რომელიც მოუნდება. პარლამენტი არ დაამტკიცებს ამ მთავრობას, ასეთ შემთხვევაში არჩევნებს უკვე სააკაშვილის მთავრობა ჩაატარებს. ეს სამოქალაქო დაპირისპირებისკენ სვლა არის. ამიტომ ეს არ უნდა დავუშვათ.

***– რამდენიმე დღის წინ სააკაშვილი ივანიშვილს პირისპირ შეხვედრას სთავაზობდა და პირობასაც აყენებდა, უნდა შეწყვეტილიყო დაპატიმრებები და ის კოჰაბიტაციის პროცესს გააგრძელებდა.***

– სააკაშვილს სჩვევია პირობების დაყენება, პოლიტიკური რეაბილიტაციის რესურსი აღარ აქვს, ნაცმოძრაობას ტყავის გამოცვლის რესურსიც აღარ დარჩა. ეს დრო გაუშვეს ხელიდან. ახლა მხოლოდ მავნებლობის რესურსი აქვთ დარჩენილი.

***– საპარლამენტო უმცირესობა სხდომებს აღარ ესწრება პარლამენტში. როგორ ფიქრობთ, ეს გამოიწვევს საპარლამენტო კრიზისს ქვეყანაში?***

– მუშაობის პარალიზებას არ გამოიწვევს, მაგრამ ერთპარტიული უოპოზიციო პარლამენტი დასავლეთის თვალში კარგად ვერ გამოიყურება. დასავლეთში დამატებით არგუმენტებს შექმნიან, დასავლეთი ასეთ საბაბს გამოიყენებს ახალი მთავრობის კრიტიკისთვის.

***– ივანიშვილის ბოლო განცხადება გავრცელდა, თუ პრეზიდენტი მთავრობას დაითხოვს, საპარლამენტო უმრავლესობა პარლამენტში აღარ შევა და ახალ არჩევნებს ჩავატარებთო. როგორ მოახერხებს ამას კოალიცია ქართული ოცნება?***

– ეს არ არის სასურველი პროცესი, სოციალური კოლაფსია მოსალოდნელი და შეიძლება ჩავარდეს პენსიის გაცემა ერთი თვით მაინც. წარმოგიდგენიათ, ეს რას შექმნის? ეს პროცესი ოცნების რეიტინგს დააგდებს. დამარცხებული მთავრობა არ უყვარს ხალხს. სააკაშვილს აქვს რესურსი, მთავრობა დაითხოვოს. ცუდი ფონი იქმნება პოლიტიკურიც და სოციალურიც ახალი მთავრობისთვის. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ სააკაშვილი მაინც დამარცხდება, მაგრამ ხალხი გაიჭყლიტება. პარლამენტმა თავის საქმეს უნდა მიხედოს. იმ საქმით არ არის დაკავებული, რითაც უნდა იყოს დაკავებული. ბერძენიშვილმა და დავითაშვილმა, როცა ხალხი მშიერია, თავი უნდა დაანებონ ღრმა ცოდნის დემონსტრირებას პრეზერვატივების ნაირსახეობაზე. ეს აჩვენებს არაადეკვატურობას და შეურაცხყოფილად გამოიყურება საზოგადოებისთვის, იმიტომ, რომ ეს საზოგადოება ამისთვის არ იბრძოდა.

***– ჩემი კოლეგები ამ არაადეკვატურ მსჯელობებს თავის ახსნა უძებნიან, რომ ახალ მთავრობას ჟანგბადი კარგად არ მიეწოდება და ეს აისახება დეპუტატების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც.***

– ახალ პარლამენტში ბევრი კარგი და წესიერი ადამიანი არის უმრავლესობაში. ბევრი ჩემი მეგობარია, მინდა მივმართო მათ, რომ პარლამენტის თემატიკა შეუსაბამოა შექმნილ ვითარებაში. პარლამენტარებს გამოცდილებაც აკლიათ. მედასავლეთეობის პრეტენზიის მქონე დეპუტატებმა განსაკუთრებით აქტიურად უნდა იმუშაონ და მისცენ განმარტებები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე დასავლეთს. ეს ადამიანები გაყუჩებულები არიან საეჭვოდ, ემიჯნებიან პასუხიმგებლობას.

***– ივანიშვილის ოპოზიციაში გადასვლისთვის ხომ არ ემზადებიან?***

– ადვილი შესაძლებელია.

***– ალასანიას პარტიას თუ რესპუბლიკელებს გულისხმობთ?***

– მე ნუ დამაკონკრეტებინებთ. ალასანიას გუნდი ყველაზე უკეთესად გამოიყურებიან მთავრობაშიც და პარლამენტშიც. ნუ მომთხოვთ სახელებით და გვარებით ლაპარაკს ვისი პასიურობა არ მომწონს, მაგრამ ცხადია, რომ მეტად უნდა აიღოს პარლამენტმა პასუხიმგებლობა მიმდინარე პროცესებზე. განმარტებები უნდა გააკეთონ, მხარს უჭერენ თუ არა მიმდინარე პროცესებს და განმარტონ დასავლეთისთვის, რომ პოლიტიკური დევნა არ მიმდინარეობს. ეს ხალხი თავისი რეიტინგით პარლამენტში არ მოხვედრილა. ერთ და ნულპროცენტიანი პარტიები ვინც მოახვედრა პარლამენტში, იმის წინაშე მადლიერების გრძნობა უნდა გქონდეს და უნდა დაუფასო, ვინ არის ეს, ქართველი ხალხი და ბიძინა ივანიშვილი. ან უნდა გაჰყვე ამ პროცესს ან უნდა თქვა, რომ ემიჯნები ამ პროცესს. როცა პოლიტიკოსი დუმს ან უხალისო კომენტარს აკეთებს, მხოლოდ მაშინ საუბრობს, როცა ჟურნალისტი ჩაეძიება. მოვუწოდებ უმრავლესობის ყველა წევრს, რომ უფრო ხმამაღლა დაუჭირონ მხარი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და ნუ ეცდებიან ხელი დაიბანონ პილატესავით.

***– აპოკალიფსივით არის აპრილის თვე ნაციონალების მიერ სოციალურ ქსელებში გახმოვანებული. როგორ ფიქრობთ, რა გეგმა აქვთ მათ აპრილისთვის და მათი გეგმა გამოვა?***

– სინამდვილეში კრიზისს უფრო ადრე, იანვარში ველოდები. ამას რომ მიხვდე, სააკაშვილს უნდა იცნობდე. აქამდე მას გადაწყვეტილებები არ ჰქონდა. გადაწყვეტილების მიღების პროცესი ნერვიულია და როცა უკვე იღებ გადაწყვეტილებას, მერე მშვიდდები. ძველით ახალი წლის შემდეგ ველოდები პროვოკაციას. მათ აქვთ ინფორმაცია საზოგადოებაში შექმნილ განწყობებზე. საზოგადოება უკმაყოფილოა პარლამენტის მუშაობის დღის წესრიგით.

***– ივანიშვილი საგანგებოდ შეხვდა უმრავლესობას ქუთაისში და უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მთავრობასა და პარლამენტს შორის არ არის საკმარისი კომუნიკაცია. ვინმე ჰყავს უმრავლესობაში ივანიშვილს, ვინც ამას შეგნებულად ზიანს აყენებს?***

– მინდა დავეთანხმო პრემიერ-მინისტრს, რომ კომუნიკაცია აშკარად არ არის საკმარისი. კრილოვის იგავი ხომ გახსოვთ, გედის, კიბორჩხალასა და ქარიყლაპიას შესახებ სხვადასხვა მიმართულებით რომ იქაჩებიან, ასე არიან პარლამენტშიც პარტიები. აქ ობიექტურთან ერთად სუბიექტური მიზეზებიც არის. ქვედინებებია, კოორდინირებულად არ გამოიყურება უმრავლესობა. რაღაც ჯგუფები ვიწრო პარტიულ ეგოიზმში არიან კვლავ ჩაკეტილი და ფიქრობენ პირად გაძლიერებაზე და არა გუნდის გაძლიერებაზე და საზოგადოების კეთილდღეობაზე. უმრავლესობის ყველა პარტიამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და ნუ ცდილობენ, მხოლოდ ივანიშვილს შეაწმინდონ ხელი.

***– მე მაქვს ეჭვი, რომ თქვენ რესპუბლიკელებს გულისხმობთ, ირინა სარიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ რესპუბლიკელები და ნაცები ერთად არიან და შეთანხმებულად მოქმედებენ. ეს ვარაუდი თქვენთვის მისაღებია?***

– არა, მე ყველას აზრს ვცემ პატივს, მაგრამ არა მაქვს სურვილი ინტრიგებზე ვილაპარაკო. თუ ერთ გუნდში ვართ, შე ოჯახაშენებულო, როცა დასავლეთიდან მეუბნებიან, პოლიტიკური დევნა არისო, უნდა გამოეხმაურო ამას, პირი უნდა გააღო და თქვა, რომ ეს არ არის პოლიტიკური დევნა. ქუთაისში რომ პრეზიდენტს აქცია მოუწყვეს და ამის გამო მოუწოდო სამართალდამცავებს, ეს ხალხი დააპატიმრეთო, ეს არ უნდა მოითხოვო. ხალხს აქვს უფლება, აქციისა და მით უმეტეს, პრეზიდენტის წინააღმდეგ.

***– ამბობენ, რომ ქვები დაუშინეს სააკაშვილის ესკორტს.***

– სად იყო ქვები. ქვასროლიები ჩვენ ვიცით, ვინც არიან, ეს არიან ნაციონალები. ჩვენ არ ვიცით, რომ ხალხი ქვებს ისროდა, იქ მისული იყო რამდენიმე დასელიც, არ ჰქონდათ უფლება, ეთქვათ სააკაშვილისთვის, რომ არ ეთანხმებიან მის მმართველობას? აკო მინაშვილს ჰქონდა პროვოკატორივით მოქცევის უფლება? ნაცმოძრაობის მიერ იყო პროვოცირებული დაპირისპირება. არ სჭირდება სააკაშვილს უსუფაშვილის დაცვა. ერთი ადამიანიც რომ დააკავონ, როგორ აპირებს უსუფაშვილი ურთიერთობას ხალხთან.

***– როგორ უნდა მოიქცეს ახალი ხელისუფლება და მისი ამომრჩეველი, თუ სამთავრობო კრიზისი დაიწყება ქვეყანაში?***

– ახალი ხელისუფლება ზოგადი ცნებაა, ეკლექტური გაერთიანებაა პარლამენტში. მე მრჩება განცდა, რომ ქვეყანაში მარტო ერთი კაცი მუშაობს, ივანიშვილი და მას ზოგიერთი მინისტრი ეხმარება. პარლამენტმა უნდა დაიწყოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა. წინა პარლამენტში მე დავიწყე ეს პროცედურა, სქელტანიანი საქმე იყო და საკმარისი მასალები იყო იმპიჩმენტისთვის. რვა კაცის გადაბირება ოთხმოცდაათმა კაცმა უნდა მოახერხოს. ჩემი შეთავაზებაა, დავიწყოთ კონსულტაციები. ამ პროცესში ივანიშვილი მარტო არ უნდა იყოს. ყველა პარტიის კონსულტაცია უნდა დაიწყოს. მე მაქვს ჯანდაცვაზე, განათლებაზე, სოციალურ, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის რეფორმებზე მოსაზრებები და შემიძლია მათ გავუზიარო. თუ ჩვენ დავინახავთ, რომ იმპიჩმენტის საქმეში პარლამენტი პასიურობას გამოიჩენს, ჩვენ დავიწყებთ აქციებს და ხელმოწერებს შევაგროვებთ. ჩვენთან ერთად იქნებიან სხვა პარტიებიც, საზოგადოებაც ამ მოთხოვნით გამოდის, ბატონ რეზო ჩხეიძეს დიდ პატივს ვცემ, მათაც დაიწყეს ეს პროცედურები. 5 იანვარს დავაანონსებთ ღონისძიების გეგმას. მანამდე კონსულტაციებს გავივლით არასაპარლამენტო ოპოზიციასთან და კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“.

## ვინ ახორციელებს ზეწოლას სასამართლოს მანდატურებზე?!

დასაწყისი მე-4 გვერდზე

თონ გამოთქვეს სურვილი. საქალაქო სასამართლოში ჩვენი პროცესი 10 იანვრისთვის გადაიდო და ამერიკის საელჩოს წარმომადგენელიც დაესწრება ჩვენს პროცესს.

მამია ფხაკაძე, რომელიც საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე იყო, მანდატურების მხრიდან ამ ფაქტების გახმაურების შემდეგ გადაიყვანეს რუსთავში, რუსთავის სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი კი გადმოიყვანეს თბილისში.

საქალაქო სასამართლოს აპარატის უფროსი ზარდიაშვილი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაიყვანეს ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე. ახლა ამბობენ, რომ უზენაეს სასამართლოში უპირებენ დაწინაურებას.

– ბატონი კოტე კუბლაშვილი რატომღაც დუმს იმ ფაქტებზე, რომლებსაც ისინი ახორციელებდნენ ჩვენ წინააღმდეგ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში. რა იყო ეს, თუ არა „ვერბოვკა“, რომ ჩვენ, ჩვენი სურვილის მიუხედავად, მიგვითითებდნენ და მოგვიწოდებდნენ, წავსულიყავით სტადიონზე, ნაციონალური მოძრაობის მხარდასაჭერ აქციაზე. თქვენი პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა სურდათ. 7 მანდატური ვერ ჩაგვითრიეს. ჩვენ არ გავიზიარეთ მათი შეხედულებები, მაგრამ სამსახურის 80% სამუშაო დროის ხარჯზე წაიყვანეს „დინამოს“ სტადიონზე. აპოლიტიკური ორგანოს, სასამართლოს თანამშრომლები, მიგყავს შენ, სასამართლოს თავმჯდომარის პოლიტიკურ აქციაზე მაშინ, როდესაც არის სამუშაო დრო. საჯარო მოხელეს არ ეკრძალება აქციაზე წასვლა, მაგრამ აქციაზე ხალხი წაიყვანეს სამუშაო დროს, 4 საათზე. ჩვენც ვიყავით „ოცნების“ აქციაზე, მაგრამ ეს იყო დასვენების დღე. ჩვენი დასვენების დროის ხარჯზე სადაც გვინდოდა, იქ წავიდოდით. ამ ბატონებმა ეს ყველაფერი გააკეთეს სამუშაო დროის ხარჯზე. ყველა მათგანს სათითაოდ გვიბარებდა ბატონი ზარდიაშვილი და გვეუბნებოდა, რას ჰქვია, არ მოდიხართ იქ, სადაც მთელი სამსახური მიდისო. ამას ფსიქოლოგიური ზეწოლა ჰქვია. იყო შთაგონებები, რომ ეს შეიძლება სხვანაირად შეფასებულიყო არჩევნების შემდეგ. მიგვანიშნებდნენ, რომ შეიძლებოდა საფრთხე დამუქრებოდა ჩვენს სამსახურს. მაღლაც დაემუქრა ჩვენს სამსახურს საფრთხე, 7 მანდატურს თანამდებობები დაგვატოვებინეს.

ჩვენ იქ ყველა დარღვევაზე საპროტესტო განწყობა გვქონდა. მონიტორებმა მისცეს რეკომენდაცია სასამართლოს, პატიმარს არ უნდა ჰქონოდა ხელზე ბორკილი სასამართლო დარბაზში. ამით რაღაცნაირად მათი უფლებები იზღუდებოდა. მათ ეს გადათარგმნეს თავისებურად, ბორკილები ხელზე მოხსნეს და ფეხზე დააბეს. ამას ჩვენ ვაპროტესტებდით. არჩევნების წინა პერიოდში შემოიღეს ახალი წესი – მოსასმენი აპარატები რომ არ შემოსულიყო, რომ ჟურნალისტებს აკრძალვოდათ აპარატურის შემოტანა. მამია ფხაკაძემ რაღაც კანონებს შეუსაბამა და ბრძანება გამოსცა, ჩანთები უნდა შეგვემოწმებინა. შემოწმება კი არა, ჩხრეკა გამოდიოდა. ტელეფონის შეტანა ყველა მოქალაქეს შეეძლო გამორთულ მდგომარეობაში დარბაზში, მაგრამ ესეც კი აკრძალეს. ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ, რომ ეს ჩვენთვის მიუღებელი იყო და ამასთანავე დამატებით რესურსს მოითხოვდა. ეს ყველაფერი სამუშაოს გვირთულებდა, მაშინ როდესაც ეს კანონი გამოსული არ იყო. ბრძანება ძალაში არ იყო შესული. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა შეიტანა გამორთული ჩამწერი, რისი უფლებაც ჰქონდა. მანდატურმა ნუკრი გველულაშვილმა, რომელმაც ეს ნახა და გაატარა, სამსახურიდან დაითხოვეს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა მანდატურებს არ დაუფასა გამბედაობა, სასამართლოში წლების განმავლობაში არსებული მდგომარეობის მხილება და მათი სრულიად სკანდალური განცხადებები, სამაგიეროდ, მანდატურებმა პროკურატურების მიმართვის საპასუხოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაიწყეს ფაქტზე და მალე თვით „უზენაესი მოსამართლე“ პროკურატურაში დაკითხვაზე მიმავალი ვიხილოთ. ამის თაობაზე მანდატურებიც საუბრობენ.

ყოფილი მანდატური გიორგი უშვერიძე აცხადებს, რომ საქალაქო სასამართლოში არჩევნების წინ მანდატურების ფსიქოლოგიური დამუშავება ხდებოდა. საქალაქო სასამართლოში არსებული ვითარებით (რომელზეც გათავისუფლებული მანდატურები საუბრობენ თავიანთ განცხადებაში და პროკურატურას მიმართეს), მანდატურებზე ფსიქოლოგიურ-პოლიტიკურ-ანტირელიგიური ზემოქმედების ფაქტებით დაინტერესდა პროკურატურა მათი დაკითხვის დროს.

ირკვევა, რომ მანდატურებს არჩევნების შემდგომი დაძაბული ვითარების განსამუხტად ფსიქოლოგიურად ამზადებდნენ. ხდებოდა ჩვენი ნეოლინგვისტური პროგრამირება.

– წინასაარჩევნოდ, 27 აგვისტოს, მოიყვანეს ფსიქოთერაპევტი და ხელჩართული ბრძოლის სპეციალისტი. ისინი კომპლექსურად მუშაობდნენ, ერთად იყვნენ. ერთი აკეთებდა ჰიპნოზს, მეორე ფსიქოლოგიური ტესტებით ამოწმებდა შედეგებს, მესამე ხელჩართულ ბრძოლას გვასწავლიდა, რომელიც ჩვენ არ გვჭირდება. ადამიანის დასახიჩრება და მწყობრიდან გამოყვანა ჩვენ არ გვჭირდებოდა. ჩვენ ხელი კარგად უნდა მოვუგრიხოთ და ბორკილი დავადოთ. მასებთან კონტაქტი ჩვენ არ გვჭირდება. ემზადებოდნენ იმისათვის, რომ გაყალბდებოდა არჩევნები, ნაციონალები მოიგებდნენ და ხალხის პროტესტი იქნებოდა.

# კბილაშვილს გადაყენება არ ემუქრება“

### არის თუ არა დაპირისპირება პროკურატურაში

შორენა კოწოწაშვილი

**მოუგო თუ არა საგარეო არენაზე სააკაშვილმა ივანიშვილს პირველი გაბრძოლებისას? — ამ საკითხის ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული ოცნების“ წევრთან, ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან.**

***– ბატონო შალვა, რამდენად ჯდება კოჰაბიტაციის პროცესი ხელისუფლების გადაბარების ნორმალურ ჩარჩოში თუ მართლაც პოლიტიკური დევნის მოწმენი ვართ, როცა ყოველდღიურად მთავარ პროკურატურაში არაერთ ნაციონალ მაღალჩინოსანს იბარებენ?***

– ვინც ფიქრობს, რომ პოლიტიკური დევნაა, ძალიან ცდება. არც ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ყოფილა ხელისუფლების გადაბარების პროცესი ბოლომდე მშვიდობიანი. იცით, რომ ნაცმოძრაობა ემზადებოდა საკმაოდ სერიოზული სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად არჩევნების დამთავრებისთანავე, მაგრამ დასავლეთის მკვეთრი ჩარევის შედეგად ეს ვერ განახორციელა. უნდა ვთქვათ, რომ ეს არ იყო ნებაყოფლობით მშვიდობიანად ხელისუფლების გადაცემა, ეს იყო იძულებით მშვიდობიანად ხელისუფლების დამყარება. გაეროს აქვს ეს ტერმინი, „იძულებით მშვიდობის დამყარება“. ამიტომ მე, პირადად, ვერ ვიტყვი, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მთლად მშვიდობიანად გადააბარა „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლება. ნებისმიერს შეიძლია ეს დავუსაბუთო მტკიცებულებებითა და ვიდეოჩანაწერებით. ამ არჩევნებზე ნაცმოძრაობა ისე განადგურდა, რომ ფეხზე ველარასოდეს წამოდგება. რაც შეეხება დაჭერებს, მე არ გამოვყოფდი ასე ცალ-ცალკე. თუ დანაშაული ჩაიდინეს, კოჰაბიტაციის პროცესი რადგან არის, თუ პირმა დანაშაული ჩაიდინა, ამისთვის პასუხი არ უნდა აგებინონ?! ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, იმან პასუხი უნდა აგოს და ვისაც არ აქვს, იმას არც არავინ იჭერს ნაციონალების რიგებიდან. იმავე კაკო ბობოხიძეს, რომელიც პარლამენტში იყო, იბარებს ვინმე პროკურატურაში და ეუბნება, შენ ამდენი ფული შეჭამეო? არავინ იბარებს. თუ ადამიანებს ჩადენილი აქვთ წამება, არაადამიანური მოპყრობა, მკვლელობა და ა.შ., რა მნიშვნელობა აქვს, ეს სს დანაშაული პოლიტიკოსმა ჩაიდინა თუ რიგითმა ადამიანმა. ყველამ პასუხი უნდა აგოს. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ მაგალითს, როცა ამ პერიოდში რომელიმე პირი უკანონოდ მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მათი დანაშაული თუ უდანაშაულობა დამტკიცდება სასამართლოზე, რომელიც ნაციონალების მიერ არის დანიშნული. მათი საქმეების განხილვაც მოხდება მათი შერჩეული და დანიშნული მოსამართლეების მიერ. თუ გამართლდებიან, გამართლდებიან. ნაციონალები პიარტექნოლოგიაში გაწაფული არიან და ამიტომ ახლაც ცდილობენ, წარმოაჩინონ მოვლენა არა ისე, როგორც არის, არამედ დამახინჯებულად და თავიანთ სასარგებლოდ. ცდილობენ, ახლა პოლიტპატიმრებად წარმოაჩინონ ის ადამიანები, რომლებსაც დანაშაული აქვთ ჩადენილი და ამის გამო დააპატიმრეს. რა პოლიტპატიმარია, როცა კონკრეტული ადამიანები ადებენ პირს ხელს და არის კონკრეტული მტკიცებულებები.

***– ირაკლი ოქრუაშვილი თავის ინტერვიუში ამბობს, რომ საქართველოში ჩამოსულს მას ისევ სააკაშვილის საქართველო დახვდა, იგივე პროკურორები და ა.შ. ასე არ არის და პოლიტიკური დევნილი ვითარებას სწორად არ აფასებს?***



– ჰოდა, იბრძოლოს ამ სიტუაციის გამოსასწორებლად. მე ვიბრძოდ და, მგონი, იგივეები არ არიან. რატომაა იგივე, არც გენერალური პროკურორია იგივე და არც შს მინისტრი.

***– შეიძლება, ამ პოსტებზე სხვა პირები არიან დღეს, მაგრამ ოქრუაშვილი ფიქრობს, რომ საქართველოში ახალი ხელისუფლების პირობებშიც პოლიტიკური ნიშნით იდევნებიან და ამას საკუთარ მაგალითზე ამბობს, რადგან პოლიტპატიმართა სიაში ვერ მოხვდა.***

– არ ვიცი, ოქრუაშვილის გამონათქვამებზე კომენტარს არ გავაკეთებ.

***– პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ ახალ ხელისუფლებას ნაციონალებისთვის ჯერ პოლიტიკური ვერდიქტი უნდა გამოეტანა, ამის შესაბამისი დოკუმენტი პარლამენტს დაედო და მერე წარმართულიყო პროცესი სამართლებრივ ჭრილში და დაწყებულიყო კონკრეტული მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება.***

– ყველაზე მთავარი პოლიტიკური დოკუმენტი დადო ხელისუფლებამ – პოლიტიკური ამნისტია. ეს არის მთავარი ვერდიქტი. პარლამენტმა ეს მესამე მოსმენით დაამტკიცა. როდესაც შენ 200-მდე პოლიტიკური პატიმარი და პოლიტიკური დევნილი გყავდა ქვეყანაში, აქ საუბარი დემოკრატიაზე საერთოდ ზედმეტია, ანუ არსებობდა პოლიტიკური რეჟიმი. ამ რეჟიმში მონაწილე პირები მინიმუმ უნდა წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე სს კოდექსის იმ მუხლით, სადაც საუბარია ადამიანთა დევნაზე პოლიტიკური ნიშნით. გარდა ამისა, იცით, რომ მე ჰააგის სასამართლოში მაქვს საჩივარი გაგზავნილი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ, სადაც კონკრეტულად იმ ფაქტების შესახებ, რაზეც ახლა მთელი საქართველო ლაპარაკობს, მე 2010 წელს დავდე ეს დოკუმენტი. ერთ-ერთ მტკიცებულებად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში იყო პოლიტიკური რეჟიმი, დაიგზავნება პარლამენტის ის დადგენილება, სადაც პირები უკვე ცნობილ იქნენ პოლიტიკურ დევნილებად. მეორე მომენტია ამ ადამიანებისთვის ამნისტიის შეხება და ა.შ. თუნდაც ის, რომ ერთი მეოთხედი მოაკლდეს ამნისტიის ფარგლებში ნებისმიერ პატიმარს, იმიტომ რომ ისინი იყვნენ ისეთ ციხეებში, სადაც ადგილი ჰქონდა პატიმართა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას. ეს არის პოლიტიკური დოკუმენტი და ამით წინა ხელისუფლების პოლიტიკური შეფასება გაკეთდა. სხვა რა პოლიტიკური დოკუმენტი უნდა დადებულიყო. მართლაც პოლიტიკური დევნა იქნებოდა, თუ მოუბრუნდებოდი და ეტყოდი იგივე კუბლაშვილს და სხვას, შენ პარლამენტში არ უნდა იყო, წადი სახლშიო. არავინ ნაციონალებს არ დევნის. ყველა თავისუფლად ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას, ატარებენ ბრიფინგებს, შეუძლიათ, მოაწყონ დემონსტრაციები, აწყობენ საბოტაჟებს. ამის მტკიცებულებებიც არსებობს, ვინ იდგა კონკრეტული შეჭრების უკან. მოვუწოდებ შს მინისტრს, კარგი იქნება, ამ მტკიცებულებებს თუ გამოაქვეყნებს და ამის შესახებ საზოგადოებას აჩვენებენ, იმიტომ რომ ბევრი ფაქტი მე თავად ვიცი, როგორც ადვოკატმა. ბუნებრივია, შს სამინისტროში ჩემზე მეტი იციან. ასე რომ, აქ საუბარი პოლიტიკურ დევნაზე სასაცილოა. მეორე მომენტი – პარლამენტს რა შეფასებაც უნდა გაეკეთებინა, გააკეთა; მესამე და მთავარი: ადამიანები, პირველ რიგში, გათავისუფლდნენ პოლიტიკური რეჟიმისაგან. ერთნი ციხეში იყვნენ, მეორენი გარეთ ვიყავით და ვიდევნებოდით. იდევნებოდა მასმედია, ადვოკატურა და ა.შ. ეს დევნა შეწყდა. იმ წლებში დავბრუნდით სწორედ, როცა გამსახურდიას დროს პირველად საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ახლა იწყება ამ ქვეყნის განვითარება. ვისაც უნდა, ეს ყველაფერი ერთ დღეში გაკეთდეს, გავიმეორებ ბატონი ივანიშვილის სიტყვებს, მოთმინებით შეხედონ იმ საკითხებსა და პროცესებს, რაც მიმდინარეობს. ეს არის მტკივნეული პროცესი. 22 წლის განმავლობაში რაც ქვეყანას უნდა გაეკეთებინა, დღევანდელმა ხელისუფლებამ სწორედ ამის კეთება დაიწყო. 20 ოქტომბერს დამტკიცდა მინისტრთა კაბინეტი, ორო თვეც არ გასულა და არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა – კანონი მიიღეს ამნისტიის შესახებ, პოლიტპატიმრებზე დადგენილება მიიღეს, ცვლილებები შევიდა შრომის კოდექსში და ა.შ. გუშინ გამოვიდა ერთ-ერთი ნაციონალი და სისულელეები ილაპარაკა. თქვა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ადამიანი წინასწარ გავაფრთხილოთ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ეს ხელს შეუშლის საქართველოში ინვესტორების შემოსვლას, ვინაიდან, თუ ინვესტორს დასჭირდება გააგდოს ესა თუ ის თანამშრომელი, ის ვერ გააგდებს, თუ წინასწარ ამის თაობაზე წერილობით არ გააფრთხილებსო. ხედავთ, რა დღეში ვიყავით ქართველები? მონები ვიყავით. უცხოელი ინვესტორი თუ ჩამოვიდოდა, ისე უნდა გაეგდე სამსახურიდან, შენი უფლებები, რომელიც ევროკონვენციით გაქვს მინიჭებული, ისე დაირღვეოდა, არავინ არაფრად ჩაგაგდებდა. ინვესტორი უნდა დაექვემდებაროს იმ საერთაშორისო კანონმდებლობას, რომელიც მიღებულია ცივილიზებული სამყაროს მიერ. არა მგონია, რომელიმე ინვესტორი ამის წინააღმდეგ წავიდეს, პირიქით. ბიზნესი იქ არის კარგად განვითარებული, სადაც შრომის კანონმდებლობა კარგად არის დაცული, სადაც პროფკავშირი კარგად მუშაობს. ეს არის ნაცმოძრაობის ბოდვა, რომელიც მალე გაქრება პოლიტიკური არენიდან. მას სერიოზულ პოლიტიკურ ძალად არც კი აღვიქვამ. ახლა დაიწყო აღმშენებლობა, რომ რაც შეიძლება მალე იგრძნოს თითოეულმა ადამიანმა შვება.

***– ეს გასაგებია, თუმცა საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ სააკაშვილმა ივანიშვილს საგარეო არენაზე ბრძოლა მოუგო.....***

– სააკაშვილმა რა მოუგო, ის, რომ უცხოეთი აკეთებს განცხადებებს, პოლიტიკური ნიშნით არ უნდა იყოს ადამიანი დაპატიმრებულიო. კი ბატონო, ამას ჩვენც ვეთანხმებით. ივანიშვილიც ამას ამბობს, მაჩვენეთ, ვინ არის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული; ამბობენ, რომ სასამართლო უნდა იყოს გამჭვირვალე და საჯარო. ამის წინააღმდეგ მიდის კოტე კუბლაშვილი – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც ამბობს, რომ სასამართლო დარბაზებში არ უნდა ხდებოდეს გადაღება და ჩაწერა. ჩვენ ვამბობთ, რომ უნდა მოხდეს, იმიტომ რომ სასამართლო უნდა იყოს საჯარო. ამათ რატომ არ აწყობთ, იცით, სასამართლოს საჯაროობა? იმიტომ, რომ მერე აშკარა გახდება მთელი მსოფლიოსთვის, რა აქვს ამ ადამიანს ჩადენილი. თუ სასამართლო პროცესი გამჭვირვალე არ იქნება, თავისუფლად შეგიძლია, პოლიტიკური განცხადებები აკეთო და თქვა, რომ სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა არასწორად, პოლიტიკური დევნის ნიშნით და ა.შ. თვითონ იძახიან, დემოკრატიული პრინციპების მომხრე ვართო და იმავდროულად სასამართლოს გამჭვირვალობისა და პროცესების გადაღების წინააღმდეგი არიან. სააკაშვილმა 1 მლნ გამოყო იმისთვის, რომ მედია და არასამთავრობო სექტორი განვითარდეს. ამდენ ხანს არ გახსენებია სააკაშვილს დამოუკიდებელი მედია და მისი განვითარება, შევახსენებ 7 ნოემბერს „იმედში“ შევარდნას, 26 მაისს ჟურნალისტების ცემას. არაერთი გამომცემლობა გამოყარა ქუჩაში და და ა.შ. სააკაშვილი მოღვაწეობას ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებს. მისი ადგილი ჰააგის ციხეშია. როცა სააკაშვილი ციხეში მოხვდება ღრმა გისოსებს მიღმა, ისიც დაისვენებს და მის მიერ გამოზრდილი ნაციონალური მოძრაობის ნარჩენებიც. ქართველმა ხალხმა პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა ნაცმოძრაობა. დადის ახლა სააკაშვილი ყურებჩამოყრილი და ნიკა გვარამიას პოლიტიკურ დევნაზე საუბრობს.

***– ამბობენ, კბილაშვილის უწყებაში შიდა დაპირისპირებაა და ამის შედეგია კონკრეტული პირების დაპატიმრება-გაშვებაო...***

– დამერწმუნეთ, კბილაშვილის უწყებაში არანაირი შიდა დაპირისპირება არ არსებობს. რომ იყოს, ვიტყოდი.

## საქართველო კავკასიონზე კონტროლს კარგავს!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მწიფო მეზობელ სახელმწიფოსთან უნდა ატარებდეს.

***– რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არა გვაქვს. ასეთ ვითარებაში რა უნდა ვქნათ?***

– ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელია საზღვრის 700-კილომეტრიან მონაკვეთზე რამის გაკეთება. ისიც მესმის, რომ რუსეთთან ურთიერთობა არა გვაქვს. მაგრამ ასეთ ვითარებაში აუცილებელია რუსეთთან საზღვრების თემაზე მოლაპარაკებების დაწყება აუცილებელია. აქვე უნდა დავამატო, რომ დღევანდელი სასაზღვრო უწყების სტრუქტურა სრულიად მიუღებელია. ევროპის მაგალითის გამოყენება საქართველოში დიდი უაზრობაა.

***– რატომ არის უაზრობა?***

– ევროპის ქვეყნებს შენგენის შეთანხმება აქვთ გაფორმებული. ამ ქვეყნებს შორის თავისუფალია მიმოსვლა. ჩვენ კი გარშემორტყმული ვართ სერიოზული პრეტენზიების მქონე ქვეყნებით. ამ ვითარებაში საქართველოში არ მუშაობს სახელმწიფო-სადელიმიტაციო კომისია. ბოლო 9 წლის განმავლობაში, მგონი, საერთოდ არ ჩატარებულა ამ კომისიის სხდომა. იმედია, ახლა მაინც დაიწყება მუშაობა.

***– ახლო მომავალში შესაძლოა სადმე მოხდეს საზღვრის გადმოწევა? ამბობენ, რომ ამ მხრივ რთული ვითარებაა თრუსოს ხეობაში, ხევსურეთსა და თუშეთში.***

– საით არ არის ნეტავი რთული ვითარება? საითაც გაიხედავ, ყველგან პრობლემაა. ამ მხრივ დაზღვეულები არა ვართ. საზღვარზე რკინის ფარდა არა გვაქვს ჩამოფარებული, არც სახელმწიფო საზღვარია დადგენილი. ასე რომ, ყველაფერია მოსალოდნელი. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ მხრივ ახალი ხელისუფლება სერიოზულ სამუშაოებს გაატარებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სავალალო ვითარებაში აღმოვჩნდებით.

# ვადამდელი არჩევნები ნაციონალებისთვის დამღუპველი იქნება!“

ნათია ხურცილავა

**ალექსანდრე თვალჭრელიძე ჩვენთან ინტერვიუში კითხვებს სვამს. მისი კითხვების ადრესატი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია. თვალჭრელიძის აზრით, ყოფილი ხელისუფლება ვერ აცნობიერებს ხელისუფლების ცვლილების ფაქტს.**

***– ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებთ პრეზიდენტის ბოლოდროინდელ განწყობას? როგორც ვიცით, საერთაშორისო საზოგადოება ახალ მთავრობას და პრეზიდენტს კოჰაბიტაციისკენ მოუწოდებს, თუმცა თანაარსებობის პროცესი დაიძაბა. რას იტყვით?***

– მთავრობა სწორად იქცევა, როდესაც სამართლიანობის აღდგენის გზას ადგას. შეიძლება ერთი მილიონი ქრთამის აღების ფაქტზე ადამიანი არ დააკავო? ჩემი აზრით, არ შეიძლება. ეს ხომ ცნობილი ფულის „გარეცხვის“ მეთოდია, რომელსაც კიდევ ძალიან ბევრს ვნახავთ, ალბათ. ეს არავითარი ზეწოლა არ არის თავისუფალ სიტყვაზე, როგორც ისინი გვეუბნებიან. სპეცნაზი არ შევარდნილა „რუსთავი 2“-ში, აპარატურა არ დაუნგრევიათ და ტელევიზია არ დაუხურავთ. ტელევიზია აგრძელებს მუშაობას, როგორც აგრძელებდა. ამავდროულად ადამიანმა, რომელმაც ქრთამი აიღო, თუ ქრთამის გადაცემაში იღებდა მონაწილეობას, ის უნდა დაისაჯოს. ყოფილი ხელისუფლება აიძულებდა ხალხს, ვინც არ მოსწონდათ, ქრთამი გამოეძალა, მერე ქრთამის მიცემის ფაქტზე დაეჭირათ. ასეთი მრავალი შემთხვევა ვიცი. მე ვამბობ, რომ სამართლის წინაშე ყველა თანაბარი უნდა იყოს და ყველამ თანაბრად უნდა აგოს პასუხი.

***– თქვენ ამ ფაქტებს პოლიტიკურ ზეწოლად არ აღიქვამთ, როგორც უმცირესობა აცხადებს?***

– რასაკვირველია, არა. პოლიტიკურ ზეწოლაზე რომ იყოს საუბარი, ნუგზარ წიკლაური და აკაკი მინაშვილი ასე არ გაჩერდებოდნენ. პირიქით, უმრავლესობა მათ იცავთ.

***– როგორ ფიქრობთ, საერთაშორისო საზოგადოება, ევროპარლამენტი, ამერიკელი კონგრესმენები რატომ არიან შეშფოთებულები და პოლიტიკურ ზეწოლაზე საუბრობენ?***

– ევროპარლამენტარების პოზიცია, მათ შორის ამერიკელი კონგრესმენების პოზიცია მრავალფეროვანია. „ნიუიორკ-ტაიმსის“ ერთ-ერთ სტატიაში ცალსახად წერია, რომ ამერიკას აქვს ორმაგი სტანდარტი. ამავე დროს ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის განცხადება, რომელმაც თქვა, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს და ყველა, ვისაც დანაშაული მიუძღვის ადამიანის წამებაში და ა.შ, თანამდებობის მიუხედავად უნდა გასამართლდნენ, მათ შორის პრეზიდენტიც. მე მიმაჩნია, რომ ეს არის ყოფილი რესურსის გამოყენება. ძალიან კრიტიკული შეცდომა იყო ახალი მთავრობის, რომ არ გააგრძელა მუშაობა საზღვარგარეთ ლობისტურ კომპანიებთან მუშაობა, მაგრამ ახლა ეს მდგომარეობა სწორდება. საქართველოში კი პოლიტიკურმა ზეწოლამ კატასტროფამდე მიიყვანა „ნაციონალური მოძრაობა“. „ენდიაი“ რომ ენდიაია, მანაც ერთ



თვეში „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი 25 პროცენტიდან 10 პროცენტამდე დაწია.

***– თქვენი აზრით, ასეთი მაჩვენებელი ბუნებრივია?***

– მოსახლეობას „ნაციონალური მოძრაობა“, ეს ხალხი მოძულებული ჰყავს. აღარ შეუძლია მათი დანახვა. ეს ადამიანები კი პოლიტიკურ დევნაზე საუბრობენ. ახლა გაიძახის მიხეილ სააკაშვილი, რომ თავისუფალი მედიისა და დემოკრატიის სადარაჯოზე დგას. ვეკითხები, სად იყო 2007 წლის ნოემბერში? სად იყო 2011 წლის 26 მაისს? ორმაგი სტანდარტი არ უნდა იყოს ცხოვრებაში გატარებული.

***– პარლამენტის თავმჯდომარემ უმცირესობას, „ნაციონალურ მოძრაობას“ მოუწოდა, რომ საპარლამენტო მუშაობას დაუბრუნდნენ, როგორც ცნობილია, მათ დატოვეს პარლამენტი, როგორც ამბობენ, დროებით და ქუჩაში გავიდნენ. რა პერსპექტივა აქვთ მათ ქუჩაში?***

– არავითარი პერსპექტივა არ აქვთ. 300 კაცი ვერ მოაგროვეს. თუმცა, გახმოვანდა, რომ საბავშვო ბაღის დირექტორებს მათი ზემდგომები აიძულებენ, რომ აქციებში მიიღონ მონაწილეობა. მე მგონი, ისინი ვერ ხვდებიან, რა მოხდა საქართველოში. ასე თუ გაგრძელდა, ხალხი მათ ჩაქოლავს და ვერავითარი ჯარი და პოლიცია ვერ დაიცავს.

***– თქვენი აზრით, „ნაციონალური მოძრაობა“, პირადად პრეზიდენტი სააკაშვილი ვერ ეგუება დამდგარ შედეგს ვერ ეგუება, ვერ ეგუება 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს?***

– არა მხოლოდ ვერ ეგუება, არამედ ვერ გააანალიზეს. ასეთი დიდი რღვევა, ამხელა უფსკრული მათსა და მოსახლეობას შორის, რომ აბსოლუტურად ვერ გააანალიზეს, რა მოხდა. არადა, მოხდა სრულიად მარტივი რამ, საქართველოს მოქალაქეებმა თქვეს, რომ დიქტატურას არ შევეგუებით. წამებას არ შევეგუებით, ფაშიზმს არ შევეგუებით. ნაცვლად იმისა, რომ დასკვნები გააკეთონ, ებღაუჭებიან რაღაც პრივიტივიზმს. ჯობია არ გააკეთონ ასეთი რამ თორემ მიხეილ სააკაშვილი თავის საპრეზიდენტო ვადას ვერ ამოწურავს.

***– რას გულისხმობთ, ბატონო ალექსანდრე?***

– ვგულისხმობ იმას, რომ ხალხი გამოიტანს რეზიდენციიდან. ვერ წარმოიდგენთ, რამხელა პროტესტია პირადად მის წინააღმდეგ. დაცვის გარეშე სცადოს და გაიაროს ქუჩაში.

***– თუმცა, მან თქვა, რომ არც დაცვა უნდა, არც ესკორტი და ისე ივლის, როგორც რიგითი ადამიანი...***

– პრეზიდენტი იმასაც ამბობდა, რომ ომი მოვიგე და ბრძოლა წავაგეო. გამოდის, პერმანენტული ომის მდგომარეობაში ვართ რუსეთის ფედერაციასთან. ბევრის თქმა შეიძლება, ფაქტი კი სახეზეა. ძალიან კარგად მახსოვს გორის კადრები, როდესაც ისე შეეშინდა, რომ დაცვა გადაეფარა ზევიდან.

***– ფიქრობთ, პარლამენტს დაითხოვს?***

– ეს იქნება კატასტროფა „ნაციონალური მოძრაობისთვის“, როგორც პოლიტიკური ძალისთვის. ახლა უმრავლესობას კვალიფიციური უმრავლესობა არ ჰყავს პარლამენტში. თუ აპრილში პარლამენტს დაითხოვს, მთავრობა დარჩება, რომელიც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლებლობას არ მისცემს მიხეილ სააკაშვილს. ამდენად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეიძლება ხუთპროცენტიანი ბარიერიც კი ვერ გადალახოს. ხალხის პროტესტი იმდენად დიდი იქნება პარლამენტის დათხოვნაზე, რომ „ქართული ოცნება“ 98-99 პროცენტს მიიღებს. ცოტა იფიქრონ.

***– ვერ აცნობიერებს პრეზიდენტი ამას?***

– მე მგონი, დასავლელი მეგობრები გააცნობიერებინებენ. არა მგონია, ამ ხერხს მიმართოს, რადგან ეს დამღუპველი იქნება მათთვის. რა დააშავეს „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდებმა, რომლებსაც ხელები მართლაც არ აქვთ გასვრილი. რატომ უნდა ეშინოდეთ მათ ქუჩაში გავლის. ტყუილად იძახის ბატონი მიხეილ სააკაშვილი, რომ საზღვარგარეთ საცხოვრებელი არ აქვს, ჰოლანდიაში მიხედოს მის მამულებს ჩვენმა მთავრობამ.

# პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ფაქტზე ბათუმში ორი პირი დააკავეს

გუშინ, აჭარის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემის ფაქტზე, ბათუმში ორი პირი დააკავეს.

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დაკავებულია ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ანა“-ს მეპატრონე, 1963 წელს დაბადებული ბიჭიკო ა. აღნიშნული სასტუმრო 4 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა. დაკავებული წარსულში ნასამართლევია და დაკავების მომენტში, ის პირობითი მსჯავრის ქვეშ იმყოფებოდა.

სამართალდამცველებმა, ასევე ბათუმში, იმედაშვილის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „მირიანი“-ს მფლობელი, 1966 წელს დაბადებული როსტომ მ. დააკავეს. მის მფლობელობაში არსებული სასტუმრო 2 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა. **მედიანიუსი**


თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

## თიბისი ბანკის ბარათების ფესტივალი დაიწყო

თიბისი ბანკის პლასტიკური ბარათები მომგებიანია. 31 იანვრის ჩათვლით თიბისი ბანკის პლასტიკური ბარათით გადახდისას თქვენ შეგიძლიათ დააგროვოთ ბილეთები და მოიგოთ ფულადი პრიზები, სამოგზაურო ვაუჩერები, Apple-ის პრიზები და ა.შ.

გათამაშებაში მონაწილეობა შეუძლიათ თიბისი ბანკის როგორც VISA ასევე Master Card-ის ყველა ტიპის ბარათის მფლობელებს. ნებისმიერ სავაჭრო ან მომსახურების ობიექტში გადახდისას თქვენ ავტომატურად გიგროვდებათ გათამაშების ბილეთები. საჭიროა მხოლოდ კამპანიის ფარგლებში განახორციელოთ 60 ლარის ოდენობის მინიმუმ სამი ტრანზაქცია.

გათამაშება შედგება 30 დეკემბერს და 9 თებერვალს. თიბისი ბანკის პლასტიკური ბარათების მფლობელები მოიგებენ შემდეგ პრიზებს:

- ორი 10000 ლარი ფულადი პრიზი
- ორი ორ-კაციანი სამოგზაურო ვაუჩერი, მომხმარებლის მიერ შერჩეული მიმართულებით: ლონდონი, ბარსელონა, პარიზი, რომი, ამსტერდამი...
- ოთხი iPhone 5
- ოთხი iPad mini
- ოთხი Xbox kinect
- 500-მდე iPod shuffle.

მათ, ვინც 31 იანვრამდე შეიძენს თიბისი ბანკის საკრედიტო ბარათებს: TBC PRIME CARD, TBC CARD და ასევე განვადების ბარათს, საჩუქრად მიიღებს გათამაშების 10 ბილეთს!

გათამაშებაში მონაწილეობისათვის ბილეთების დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ თიბისი ბანკის ტერმინალებში განხორციელებული ტრანზაქციებით.

**გადაიხადეთ თიბისი ბანკის ბარათებით, ამით თქვენ უფრო მეტი შანსი გექნებათ მოიგოთ არაჩვეულებრივი პრიზები თიბისი ბანკისგან!**


# ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმეტესობა ალკოჰოლს ეტანება

მერი ნამორაძე

**ადამიანები, რომლებსაც საარსებო წყარო მიგრანტის ამპლუაში უძებნიათ, საკუთარი მძიმე ყოფის შესახებ ნაკლებად საუბრობენ. ზოგს უმართლებს, ზოგს არ უმართლებს და დამამცირებელ თუ დაბალანაზღაურებად სამუშაოს იმ იმედით ასრულებს, რომ დღეს თუ ხვალ უკეთესი გამოჩნდება. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში მიგრანტთა ბედით, კონკრეტულად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა, მათ შორის ტრეფიკინგის მსხვერპლი ადამიანების მდგომარეობით და საგანგებო კვლევაც ჩაატარა.**

რადგან ტრეფიკინგით დაზარალებულმა არც ერთმა მიგრანტმა არ მოისურვა კვლევაში მონაწილეობის მიღება, ინფორმაციის მიღება ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თვშესაფარში მცხოვრებ მიგრანტთა შესახებ ფონდის თნამშრომლებისგან მოპოვებული მონაცემებით მოხერხდა. ეთნიკური წარმომავლობის მხრივ დასახელდა ქართველი, უზბეკი, რუსი და თურქი მიგრანტები. ტრეფიკინგით დაზარალებული მიგრანტები იყვნენ შრომისუნარიანი დაუსაქმებლები, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომამდე, ასევე ამ ფაქტის შემდგომაც. მათი ოჯახის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ იყო, ხშირ შემთხვევაში ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის მიზეზი სწორედ შემოსავლის უქონლობაში მდგომარეობდა. თუმცა, სქესობრივი ექსპლუატაციის შემთხვევისას შესაძლებელი იყო შემოსავლის განსაზღვრა, რომელიც დაახლოებით 200-300 ლარს შეადგენსა ყოველთვიურად.

როგორც აღმოჩნდა, ტრეფიკინგით დაზარალებულ მიგრანტთ უმრავლესობა ალკოჰოლს ღებულობს, მაგრამ არარეგულარულად. ძირითადად ისევ და ისევ სქესობრივი ექსპლუატაციის შემთხვევებში შეიმჩნეოდა ალკოჰოლის მოხმარების შეჩვევის ტენდენცია. მაგალითის სახით მოყვანილი იქნა ერთ-ერთი პირის თურქეთში ყოფნის გამოცდილება, რომლის განმავლობაშიც იგი მუშაობდა ბარში და უწევდა მაღალალკოჰოლიანი ლუდის მოხმარება არანორმირებული რაოდენობით და რეგულარულად, რამაც გამოიწვია დამოკიდებულების გაჩენა. შესაბამისად, თვშესაფარში მოხვედრის შემდეგ აღნიშნულ პიროვნებას უკიდურესად გაუჭირდა ალკოჰოლის გარეშე ყოფნა.

ტრეფიკინგის გამოცდილების ხანგრძლივობა საშუალოდ სამ თვეს შეადგენდა. თუმცა, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი ან ორი წლის განმავლობაში გაგრძელებულა ამგვარი ყოფა. ტრეფიკინგით დაზარალებულ მიგრანტთა ფიზიკური აქტივობის დონე ძალიან დაბალია, თუმცა, ფონდის მუშაკთ თქმით, ერთი მომხმარებელი ყოველდღე ასრულებდა ფიზიკურ ვარჯიშებს თვის ოთახში. ფეხით სიარული მსხვერპლებს არ უწევთ, შეუძლიათ გასეირნება ეზოში, რისგანაც ძირითდად თავს იკავებენ, ურჩევნიათ ტელევიზორის ყურება.

ტრეფიკინგით დაზარალებულ მიგრანტთათვის კითხვარში ჩამოთვლილი ყველა ტიპის სამედიცინო მომსახურება ხელმისაწდომი იყო გეოგრაფიულად. რაც შეეხება ფინანსურ ხელმისაწვდომობას, სამედიცინო მომსახურების თანხის ანაზღაურებას მათთვის სახელმწიფო ახდენს. სამედიცინო დაზღვევა ტრეფიკინგით დაზარალებულ მიგრანტებს არ გააჩნდათ, მაგრამ მათი სამედიცინო მომსახურება ანაზღაურდება ფონდის ბიუჯეტიდან, რომელიც თვის მხრივ დაფინანსებას სახელმწიფო ხაზინიდან იღებს.

ძირითდად, ტრეფიკინგით დაზარალებული მიგრანტების უმრავლესობას ძალიან დაბალი განათლება აქვს და მათ უჭირთ თვიანთი სურვილების განსაზღვრა და ჩამოყალიბება. შრომით მოწყობასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ხშირად ტრეფიკინგით დაზარალებულებს დასაქმების შემთხვევაში უჭირთ ადაპტირება შესაბამისი უნარების არქონის გამო. თუმცა თაილობენ ამა თუ იმ საქმიანობის შესრულებას. როგორც აღმოჩნდა, ტრრეფიკინგის მსხვერპლებს აღენიშნებათ გადაულახავ ტრამვულ გამოცდილებასთნ დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, სქესობრივი ექსპლუატაციის მსხვერპლმა გაიარა მომსახურების კურსები პროფრსიული განათლების ცენტრში, მაგრამ ვერ შეძლო მუშობა საკმაოდ პრესტიჟულ რესტორანში წარსულ აგრესორთან შესაძლო შეხვედრის ალბათობის გამო. მიგრაციის საერთშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით, სასურველია ტრეფიკინგით დაზარალებულ მიგრანტთა პროფესიული განათლება და შემდგომ მათი ადაპტაციის ხელშეწყობა სამუშაო გარემოსთნ მიმართებაში.

რაც შეეხება მსხვერპლთა ფსიქოსოციალურ მდგომარეობას, უგუნებოდ ყოფნის სიტყვიერი გამომჟღვნება ხშირი არ არის. ტრეფიკინგით დაზარალებულები გარეგნული მდგომარეობით გამოხატავენ შესაბამის განცდებს და თვისთვის მყუდრო ადგილას განმარტოებას არჩევენ. უგუნებოდ ყოფნის მიზეზად დასახელდა ტრეფიკინგის გამოცდილების პერიოდთნ დაკავშირებული მოგონებების გამოცოცხლება და ასევე მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრების შიშიც. თითქმის ყველა დაზარალებული მიგრანტი იმედგაცრუებელი იყო. ამ ადამიანების კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფსიქოლოგიური მახასიათებელი მდგომარეობდა იმაში, რომ მიუხედავად იმ მძიმე გამოცდილებისა, რომელიც თითოეულ მათგანს თითქოსდა უნდა აერთიანებდეს, საპირისპიროდ შეიმჩნევა ურთიერთდაჩაგვრის ტენდენცია– ყველა ცდილობს ლიდერობას, ძალაუფლების დამკვიდრებას და ერთმანეთზე ზეგავლენის ქონას. ამ მხრივ კამათის მიზეზად შეიძლება ნებისმიერი წვრილმანი ქცეულიყო.

ტრეფიკინგის მსხვერპლებს კითხვარში ჩამოთვლილი თითქმის ყველა ფსიქოსომატური გამოვლინება აღენიშნებოდათ და გამოთქვამდნენ შესაბამის ჩივილებს. აღნიშნავდნენ ძილთან დაკავშირებულ პრობლემებს, ასევე შიშისა და კონცენტრაციის უნარის დაქვეითების შესახებ. ფონდის მუშაკები მიიჩნევენ, რომ ტრეფიკინგით დაზარალებულთა ისედაც დაბალ ინტელექტის დონეს თან დაერთო სტრესიდან გამომდინარე სირთულეები, რაც უკიდურესად აფერხებს მათი აზროვნების უნარს.

კვლევა დაინტერესდა არაგადამდებ დაავადებებთნ დაკავშირებით არსებული ცოდნის,, დამოკიდებულების და შესაბამისი ქცევის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, ტრეფიკინგით დაზარალებულები ნაკლებად იყვნენ გაცნობიერებულნი გულსისხლძარღვთა დაავადებების შესახებ. ყველაზე მეტად გაცნობიერებულნი იყვნენ ისეთ გადამდებ ინფექციურ დაავადებებთნ მიმართებაში, როგორიცაა გრიპი და აივ-შიდსი.პრევენციულ გზებთან მიმართებაში ტრეფიკინგით დაზარალებულები პრაქტიკულად საერთოდ არ იყვნენ გაცნობიერებულნი. მეტიც, მათთვის ისიც კი არ იყო ცნობილი, რომ დაუცველი და ხშირი სქესობრივი კავშირები ჯანმრთელობისთვის დიდ რისკს წარმოადგენს და საჭიროა პრევენციული ზომების მიღება.

არაგადამდებ დავადებათ რისკ-ფაქტორების ზეგავლენის პრობლემასთნ დაკავშირებით აღინიშნა, რომ მხოლოდ ნებელობა ან კონსულტირება საკმარისი არ არის ამგვვარი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად.. საჭიროა ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმწვავის და ქცევით რისკ-ფაქტორებზე უარის თქმის აუცილებლობის მყარო დასაბუთება. მიუხედავად ამისა, ტრეფიკინგით დაზარალებული მიგრანტების უმრავლესობა თავიანთ მავნე ჩვევებს მაინც არ ცვლიან.

# კულტურის სამინისტრო: ნუ გვიგორებთ შავ პიარს!“

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და მისი ხელმძღვანელი გურამ ოდიშარია სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელშიც სამინისტროს წინააღმდეგ აგორებულ შავ პიარზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ სამინისტროს პრიორიტეტი ქართული კულტურის ხელშეწყობა და პოპულარიზაციაა.**



საგანგებო განცხადების გამოქვეყნების საფუძველი გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ დირექტორის ქალბატონ თამარ შენგელიას ღია წერილი, რომელიც მან გურამ ოდიშარიას მისწერა. ის პროლოგით იწყება და მასში ნათქვამია:

„პოლიტიკურად ეგზალტირებულ მკითხველს მინდა ვუთხრა, რომ მეც და ჩვენ სკოლაში მოღვაწე 200 პედაგოგი ვუყურებთ წინა და დღევანდელ ხელისუფლებას პოლიტიკური კონტექსტის მიღმა და ჩვენთვის ერთადერთი კრიტერიუმი არის სკოლის და ზოგადად სამუსიკო განათლების მხარდაჭერა. ეს წერილი არ გახლავთ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების შეფასება. საუბარია მხოლოდ კულტურის სამინისტროსა და სამუსიკო ხელოვნებაზე. პატივცემულო ბატონო გურამ! გამოგიტყდებით, როდესაც თქვენ მინისტრად წარგადგინეს, ჩემდა სამარცხვინოდ, არ გიცნობდით და კითხვაზე „ვინ არის?“ უმეტეს შემთხვევაში მპასუხობდნენ: „ერთი წესიერი და საყვარელი მწერალი კაცია“. ეს თავისთავად კარგად გახასიათებთ, თუმცა მოუთმენლად ველოდი თქვენს გაცნობას, ვიმედოვნებდი, თქვენში დამენახა ის თვისებებიც, რაც ჩემი აზრით აუცილებელია მინისტრისთვის, ვინაიდან ამ თანამდებობაზე მოსაფერებლად კი არ ნიშნავენ, არამედ ძალიან საპასუხისმგებლო და რთული პრობლემების მოსაგვარებლად. ასეთ თვისებებად მივიჩნევ კომპეტენტურობას, ხელოვნების დარგების ღრმა ცოდნას, ერუდიციას, გამჭრიახ გონებას, ინტუიციას, დახვეწილ გემოვნებას, გამბედაობას, ქმედითუნარიანობას და ა.შ. პირველი შეხვედრისას თქვენში ამ თვისებების დანახვა გამიჭირდა, მაგრამ გაწბილებისგან შორს გახლდით, რადგან ადამიანურად შევედი თქვენს მდგომარეობაში და გავითვალისწინე, რომ მოულოდნელი დანიშვნის გამო, შესაძლოა ეიფორიაში ბრძანდებოდით. ვსაუბრობდი ძირითადად მე და ვცდილობდი ამეხსნა, თუ რა ორგანიზაციას წარმოვადგენ. მართალი გითხრათ, გამაოცა სამუსიკო დარგის თქვენმა მწირმა ცოდნამ. მომიწია ისეთი ელემენტარული ინფორმაციის მოწოდება, რომელიც უნდა გქონოდათ, როცა ამხელა პასუხისმგებლობას იღებდით საკუთარ თავზე. სამწუხაროდ, თქვენში ვერც იმის სურვილი დავინახე, სიღრმისეულად შეისწავლოთ ის სფერო, რომლის გადარჩენის ამბიციით მოგვევლინეთ. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ არ შედგა ჩვენი მეორე შეხვედრა. ამას მე პირად წყენად არ აღვიქვამ, ვინაიდან პირადი საკითხებით არ გაწუხებთ. ჩემი იგნორირებით თქვენ წიხლს კრავთ „ნიჭიერთა ათწლედს“ და ყველა იმ ადამიანს ვინც ამ სკოლის უკან დგას. შეგახსენებთ, თუ რა არის „ნიჭიერთა ათწლედი“: ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი“ თითქმის ერთ საუკუნეს ითვლის. ამ სკოლაში აღიზარდნენ მუსიკოსები, რომელთაც XX საუკუნის ქართული სამუსიკო ხელოვნების ისტორია შექმნეს. სკოლის აღზრდილთა სახელები, ნებისმიერი ქვეყნის კულტურულ და სახელოვნებო ელიტას დაამშვენებდა: სულხან ცინცაძე, სულხან ნასიძე, ბიძინა კვერნაძე, ჯანსუღ კახიძე, დავით თორაძე, ლექსო თორაძე, ნოდარ გაბუნია, ელისო ვირსალაძე, რუდოლფ კერერი, მარინა მდივანი, დიმიტრი ბაშკიროვი, ლევ ვლასენკო, საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის მთელი შემადგენლობა, ელისო ბოლქვაძე, ალექსანდრე კორსანტია, ლიზა ბათიაშვილი, ლიზა ლეონსკაია, მედეა ამირანაშვილი, თენგიზ ამირეჯიბი, ლიანა ისაკაძე, ლამარა ჭყონია, ზურაბ ანჯაფარიძე, ეთერ ანჯაფარიძე, ნინო მაჩაიძე, ხატია ბუნიათიშვილი, იაშვილების დინასტია, გივი აზმაიფარაშვილი და მრავალი სხვა. მათი მოღვაწეობა და მნიშვნელობა არ შემოფარგლულა საქართველოთი და დღესაც, ევროპისა და ამერიკის წამყვან აკადემიებსა თუ საკონცერტო დარბაზებში წარმატებით აგრძელებენ საშემსრულებლო თუ პედაგოგიურ მოღვაწეობას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სკოლის აღზრდილებმა საკუთარი წვლილი შეიტანეს მსოფლიო სამუსიკო ხელოვნების განვითარებაში. ეს უნიკალური სასწავლებელი, ქართული კულტურის ნამდვილი საგანძური, ბოლო 20 წლის მანძილზე სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. სკოლამ დაკარგა შენობა, ჩამოიშალა სტრუქტურა, რომელიც შედგებოდა სამუსიკო, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და ინტერნატისგან. თითქმის სრულიად განადგურდა მატერიალური ბაზა: მუსიკალური ინსტრუმენტები, ბიბლიოთეკა და ა.შ. დღემდე სკოლა მოიტანა პედაგოგთა უანგარო და გმირულმა თავდადებამ. ამ ადამიანებმა გამოიარეს ომები, რევოლუციები, სიბნელე, სიცივე, უფულობა და სიდუხჭირე, მაგრამ ერთი წუთით არ უღალატეს პროფესიას, არ შეაჩერეს შემოქმედებითი პროცესი და ამ გაუსაძლის პირობებში მოახერხეს გამოეზარდათ მაღალი კლასის პროფესიონალების კიდევ რამდენიმე თაობა. სამწუხაროდ არსებობს ადამიანთა მორალური გატეხვის რისკი. სკოლაში სამუშაოდ მოვედი 2011 წლის ზაფხულში. ამ დროისთვის სკოლა ფაქტობრივად განადგურებული იყო. დავიწყეთ სკოლის სასწრაფო რეანიმირება. შარშანდელი სასწავლო წლის მანძილზე მოხერხდა დროებითი შენობის მეტნაკლებად მოწესრიგება, მოსწავლეებსა და პედკოლექტივში მორალური განწყობის ამაღლება, შემოქმედებითი მოღვაწეობის გააქტიურება, რასაც ხელი შეუწყო თქვენი წინამორბედის მხრიდან სკოლით აქტიურმა დაინტერესებამ და ქმედითმა მხარდაჭერამ. ცნობისათვის: 2012-2013 სასწავლო წელი დავასრულეთ საერთაშორისო კონკურსების 22 ლაურეატით, ჩავატარეთ 18 საჩვენებელი კონცერტი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, აქედან ხუთი – სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. შვეიცარიის საელჩოს დაფინანსებით გამოიცა სკოლისადმი მიძღვნილი ფოტოალბომი „დაკარგული ანგელოზები“. აგვისტოში ჩავატარეთ საერთაშორისო ფესტივალი „მოგზაური ნოტები“, რომლის ფარგლებში გაერთიანდნენ ჩვენი სკოლის ორკესტრანტები და მათი ახალგაზრდა კოლეგები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. პროექტი დასრულდა საერთაშორისო სტუდენტური სიმფონიური ორკესტრის სამი შთამბეჭდავი კონცერტით. და მრავალი სხვა საინტერესო ღონისძიება. ყველაფერ ამის შედეგად გაიზარდა მუსიკისადმი ინტერესი, რაც დადასტურდა სკოლაში სწავლის მსურველთა რაოდენობის ზრდით თითქმის 50%. ასევე, ერთი წლის თავზე, შედეგად მივიღეთ სკოლისათვის არაჩვეულებრივი შენობის გადაცემა, სახელფასო ბიუჯეტის გაზრდა და სიტყვიერი შეთანხმება ახალი შენობის გარემონტებისა და მატერიალური ბაზის განახლების შესახებ. გაზრდილი ბიუჯეტის იმედით მრავალ ახალ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. დავიწყეთ მუშაობა სამუსიკო განათლების სტანდარტიზაციაზე, სასწავლო პროცესის და შედეგების გასაუმჯობესებლად შევიმუშავეთ რამდენიმე პროექტი და დავიწყეთ კიდეც მათი განხორციელება: დავაფუძნეთ ბიჭუნათა გუნდი, დავუნიშნეთ სტიპენდიები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსულ, სწავლას მოწყურებულ ბავშვებს, რომელთაც გზის ფულსაც კი ხშირად პედაგოგები აძლევდნენ. მივიღეთ წეროვანის ლტოლვილთა ბანაკში მცხოვრებ ბავშვთა 15-კაციანი ჯგუფი, რომელიც თიბისი ბანკის ხელშეწყობით, ჩვენ სკოლაში ეუფლება ჩასაბერ ინსტრუმენტებს. იანვრიდან დაგეგმილი გვქონდა სასულე ორკესტრის ჩამოყალიბება. სწორედ ამ სასიხარულო ცნობებით გავხსენით სექტემბერში პედსაბჭო. დეკემბერში, პედაგოგებთან შეხვედრისას მომიწევს შემდეგი ინფორმაციის გახმოვანება: მინისტრ ოდიშარიას გადაწყვეტილება მაიძულებს ყველა ეს წამოწყება გავაუქმო, შენობა დაკავებულია ლტოლვილების მიერ და არავინ მათ გამოყვანას არ ჩქარობს, რემონტის ფული არ არის და ეს საკითხი საერთოდ არ განიხილება, ხოლო გაზრდილი ბიუჯეტი ისევ შემცირდა და ჯამაგირი არ მოგემატებათ. თქვენმა არშემდგარმა მოადგილემ თქვენი ეს გადაწყვეტილება ამიხსნა იმით, რომ წინა ხელმძღვანელობას ზედმეტად გაბერილი ბიუჯეტები ჰქონდა. სხვა სფეროებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩვენს სკოლაში მოღვაწე პროფესორებისა და დამსახურებული პედაგოგების ხელფასი მერყეობს 170-280 ლარამდე, ეს ხომ დამამცირებელია?! ნუთუ უხერხულობის გრძნობა არ გეუფლებათ?! თქვენ, ბატონო გურამ, ამის შესახებ მე მოგახსენეთ ჩვენს ერთადერთ შეხვედრაზე და უმორჩილესად გთხოვეთ ბიუჯეტი არ შეგემცირებინათ. აქვე გეტყვით, რომ სკოლაში სწავლება უფასოა და მე როგორც სკოლის ხელმძღვანელი, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მისი კომერციალიზაციის. ვთვლი, სახელმწიფოს ღირსების საკითხია ერთი ასეთი სკოლის შენახვა. ეს სასწავლებელი და აქ მოღვაწე ადამიანები იმსახურებენ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას და დაფასებას. როგორც ჩანს, თქვენ მათი ფასი არ იცით და არ გაღელვებთ მათი ბედი, წინააღმდეგ შემთხვევაში გაგიჩნდებოდათ სურვილი ამ სკოლის ხელმძღვანელთან საუბრის და თანამშრომლობის გაგრძელების. თქვენ გერგოთ პატივი იყოთ ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ამ სკოლის გადარჩენას და აღორძინებას შეუწყო ხელი. სამწუხაროა, რომ ვერ დააფასეთ ეს პრივილეგია და ასეთ შანსს უგულებელყოფთ. იმის იმედით, რომ ეს გადაწყვეტილებები დროებითია, ორი თვეა ვცდილობ გავიგო, თუ ზოგადად რა დამოკიდებულება და სკოლასთან დაკავშირებული რა გეგმები აქვს დღევანდელ სამინისტროს. სამწუხაროდ, ამ ხნის მანძილზე არ გამოჩნდა არც ერთი ოფიციალური პირი, ვინც საქმით დაინტერესდა. მესმის, რომ ორ თვეში ყველა პრობლემა არ მოგვარდება, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რაც უკვე გაკეთდა ან ხორცშესხმის პროცესშია, ერთი ხელის მოსმით არ მოგესპოთ? სამწუხაროდ, ამ დროის განმავლობაში თქვენმა მოღვაწეობამ სკოლას უკვე ჩაუგდო 2013-2014 სასწავლო წელი, ეს კი კიდევ ერთი დაკარგული თაობაა. სიტყვიერი დაპირება მაინც მოგეცათ, რომ მოგვიანებით დაკავდებით, დაინტერესდებით და ა.შ., რათა ბავშვებისა და პედაგოგებისთვის იმედი მაინც დაგვეტოვებინა. სადაც ამდენი წელი ვითმინეთ, მოვიცდიდით რაღაც ხანი. თქვენ კი ერთი აუდიენციით ვალი მოიხადეთ და როგორც თავად შემომითვალეთ „მეორედ შეხვედრის საბაბს ვერ ხედავთ. არ იცით, რაზე მელაპარაკოთ“. თქვენც და თქვენს მიერ საზოგადოებისთვის წარდგენილი სავარაუდო კანდიდატურები, ძირითადად, დაკავებული ბრძანდებით წვრილი ინტრიგებისა და კონფლიქტების გარჩევით. ამისათვის საგანგებო რინგიც კი მოაწყვეთ სამინისტროს დარბაზში. ერთმანეთის ჭამა ხომ ქართველების ყველაზე სასიამოვნო გატაცება და თვითდამკვიდრების უებარი საშუალებაა, არც ისე აკლებდნენ და ახლა ამ „საქმიანობისთვის“ განსაკუთრებულ პირობებს უქმნით. და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ გაგვაბრიყვოთ და ილუზია შეგვიქმნათ, თითქოს საზოგადოებას პატივს სცემთ და მის აზრს ითვალისწინებთ. როგორც ჩანს, პოპულიზმს ვერ გაცდით და ვერც ერთმა თქვენთაგანმა ვერ გამოყავით დრო სამუსიკო განათლების თაობაზე საფუძვლიანი საუბრისთვის. თუ პრობლემა ჩემს პერსონაშია, თქვენ გაქვთ ჩემი განთავისუფლების იურიდიული უფლება. მაშ იმოქმედეთ! ოღონდ ფუჭად დროის ფლანგვა დამღუპველია როგორც სკოლისთვის, ისე ზოგადად ქართული სამუსიკო ხელოვნებისთვის. არ ვიცი, გესმით თუ არა ამ სკოლის მნიშვნელობა, მაგრამ სწორედ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**ცფ,ფყრჯ პტრდბპბნტ,ბ5**

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 LBRTGE22
fyu8 N GE28LB 0122 1802 48686 000



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs
cohfab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib
2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2
[j,bc vjyfcnthb8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

**უფყნ[ფლტ,ტ,ბ**

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

# სუპერლიგა სათავეში დაიძაბა

## არმია _ ოლიმპი 93:62
(19: 16; 24: 15; 27: 11; 23: 20)

ცენტრალურ მატჩში ბრძოლა არ შედგა. თავდაცვის სამინისტროს გუნდმა დიდი უპირატესობით დაამარცხა „ოლიმპი“ და ეს უკანასკნელი იმ 3 გუნდს შეუერთდა, რომლებსაც მიმდინარე ჩემპიონატში 2-2 დამარცხება აქვთ.

მატჩში ყველაფერი მესამე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც კოტე ტუღუშის გუნდმა 27:11 მოიგო. მანამდე კი არმიელთა უპირატესობით, თუმცა მეტნაკლებად თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ არმიელები უფრო მეტი მობილიზებითა და მონდომებით თამაშობდნენ, რაც ანგარიშზე მეორე მეოთხედში აისახა.

ლამაინ უილსონმა და კურტის მილეიჯმა დიდებული მატჩი ჩაატარეს და მთლიანობაში 50 ქულა დააგროვეს. მეტწილად ამ კალათბურთელების შედეგიანი გარჯის შედეგად არმიელებმა მეორე პერიოდი 24:15 მოიგეს და გადამწყვეტი მეოთხედის წინ 28 ქულით დაწინაურდნენ – „ოლიმპის“ შემართება არ იყო ისეთი, რომ ამხელა ჩამორჩენა გაებათილებინა.

ზემოთ ხსენებულ ლეგიონერებთან ერთად არმიელთაგან მარკუს ფეისონი და გიორგი გამყრელიძე გამოირჩნენ, რომლებმაც 10-10 ქულა დააგროვეს. ოლიმპში კი 10-ქულიან ზღვარს მხოლოდ ნოდარ თენიეშვილი (11) ასცდა.

### მატჩის შემდეგ

**კოტე ტუღუში (არმია):**

– სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. ბოლო პერიოდს თუ გადავავლებთ თვალს ეს მოგება საჭირო იყო ზოგადად ჩვენი გუნდისთვისაც. ახალ წელს გამარჯვებულები ვხდებით და ოპტიმიზმით ვუყურებთ მომავალს. იმედია უკეთესად მომზადებულნი შევხვდებით ვემზადებით ქორქია-საკანდელიძის მემორიალსა და საქართველოს თასის გათამაშებას.

**გია კაზანჯიანი (ოლიმპი):**

– შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩვენს გუნდს თამაში არ უნდოდა. სამწუხაროდ, ბიჭებმა არ იბრძოლეს. დღეს გუნდი არ ჩანდა არც დაცვაში და არც თავდასხმაში. მეტოქემ ყველა კომპონენტში გვაჯობა.

**ანატოლი ბოისა (არმია):**

– ახალ წელს გამარჯვებით ვხვდებით და ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულოა. იმედია სატურნირო ცხრილში მაღალ ადგილს დავიკავებთ, რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, მეტოქეს სწრაფი თამაში შევთავაზეთ და ამან გაამართლა. „ოლიმპი“ ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგეა, რომელსაც ფინალში ველოდებით.

**ირაკლი მიქელაძე (ოლიმპი):**

– „არმია“ ჩვენზე უკეთესად იყო მომზადებული. სამწუხაროდ, ჩვენთვის სასურველი თამაში ვერ ვაჩვენეთ და მარცხი განვიცადეთ.

## სოხუმი _ ქუთაისი 90:86
(26: 18; 26: 27; 16: 17; 22: 24)

„სოხუმმა“ სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა გასული სეზონის ბრინჯაოსმედალოსანი და მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი „ქუთაისი“ დაამარცხა.

სოხუმელებს ამ მატჩამდე მხოლოდ 2 მოგება ჰქონდათ, თუმცა ისიც სათქმელია, რომ კვარაცხელიას გუნდი ყველა შეხვედრაში ბოლომდე იბრძოდა და არაერთ შეხვედრაში გამარჯვებასთან ახლოს იყო. პირველი წრის ბოლო მატჩში „სოხუმს“ მონდომება დაუფასდა და კვარაცხელიას გუნდმა თავიანთთვის უხერხული მეტოქე დაამარცხეს – აქამდე სოხუმელებს „ქუთაისთან“ ყველა მატჩი წაგებული ჰქონდათ.

სოხუმელებისთვის გამარჯვება განსაკუთრებით გასახარი იმიტომ არის, რომ მათ სოლიდური ლიდერობის განიავების შემდეგ მოახერხეს კვლავ დაწინაურება და გამარჯვებამდე მისვლა. პირველი მეოთხედი კვარაცხელიას გუნდმა 26:18 მოიგო, ხოლო მეორე ათწუთეულის ახალდაწყებულზე სოხუმელები 12 ქულითაც დაწინაურდნენ. შედეგიანად თამაშობდა გუნდის ბომბარდირი ირაკლი ჩლაიძე, რომელიც სწრაფ გარღვევებსაც ახორციელებდა და შორიდანაც წარმატებით ესროდა.




მეორე მეოთხედის მიწურულს ქუთაისელებმა თამაში გამოასწორეს და ჩამორჩენის შემცირება შეძლეს. დიდი შესვენების შემდეგ იმერულმა კლუბმა დაწინაურებაც მოახერხა და თითქოს, ყველაფერი ლოგიკურად უნდა დამთავრებულიყო, თუმცა სოხუმელებმა ბოლომდე იბრძოლეს. მანამდე აქტიურ და შედეგიან ჩლაიძეს ფეხი ვახტანგ ქადარიამ და უზბეკი ლეგიონერმა რუსლან ნაზმიევმაც აუწყვეს.

ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა. თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ქუთაისელები 2 ქულით იგებდნენ, თუმცა ვახტანგ ქადარიას, გელა კოპალიანისა და დანარჩენი სოხუმელების თავგანწირული თამაშის წყალობით კვარაცხელიას გუნდი გამარჯვებამდე მივიდა.

სოხუმელთაგან 27 ქულით საუკეთესო ირაკლი ჩლაიძე გახლდათ, ხოლო ვახტანგ ქადარიამ 20 ქულა და 16 მოხსნა მოაგროვა. ქუთაისელთაგან 21 ქულითა და 15 მოხსნით რიჩარდ მათიაშვილი გამოირჩა, ხოლო აზერბაიჯანელმა ლეგიონერმა ზაურ ფაშაევმა შეხვედრა 18 ქულით დაასრულა.

### მატჩის შემდეგ

**ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):**

– ვულოცავ ჩემს გუნდს გამარჯვებას, დიდი მადლობა ბიჭებს ასეთი თავდადებული თამაშისთვის. „ქუთაისი“ ძალიან ძლიერი გუნდია. ჩვენებმა ბოლომდე იბრძოლეს და გაგვიმართლა კიდეც.

**დავით უსტიაშვილი (ქუთაისი):**

– ძალიან ცუდად ვითამაშეთ პირველ ტაიმში, როდესაც მეტოქემ 52 ქულა ჩაგვიგდო. არ ვარ კმაყოფილი დაცვაში თამაშით. გადამწყვეტ მომენტში „სოხუმმა“ საჭირო ბურთები ჩააგდო და გაიმარჯვა.

**რუსლან ნაზმიევი (სოხუმი):**

– ძალიან კარგი მატჩი იყო. მეტოქე ძლიერი გუნდია. ბიჭები სერიოზულად ვემზადებოდით ამ შეხვედრისთვის და სასიხარულოა ასეთი წარმატება. ეს ჩემი ბოლო შეხვედრა იყო სუპერლიგაში, რადგან ოჯახური პრობლემების გამო რუსეთში მიწევს დაბრუნება. მსურს ვისარგებლო შემთხვევით და ყველას მადლობა გადავუხადო. საქართველო ძალიან მომეწონა და იმედია ისევ ვესტუმრები თქვენს ქვეყანას.

**დავით ბარბაქაძე (ქუთაისი):**

– პირველი წრის ბოლო შეხვედრაში რატომღაც ძალიან მოვეშვით. სამწუხაროდ ვერ ვიასპარეზეთ სათანადოდ და სამწუხარო მარცხი განვიცადეთ.

## სტუ _ დინამო 71:78
(13: 21; 16: 20; 17: 19; 25: 18)

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა „დინამომ“ სტუ-სთან დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა, თუმცა მატჩის ბოლოს ცოტა ნერვიულობაც მოუხდა.

ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი მთელი თამაშის განმავლობაში ჩამორჩებოდა, თუმცა ზურაბ ტომარაძის გუნდი დანებებას არ აპირებდა და „დინამოს“ ნიადაგ კვალში ედგა. მაშინაც კი, როცა მესამე მეოთხედში სხვაობამ 20 ქულას მიაღწია (55:35), სტუ არ მოდუნდა და მეთოდურად ცდილობდა ვითარების გამოსწორებას.

ზურაბ კორკოტაძისა და გიგა კვეტენაძის შედეგიანობამ ის შედეგი გამოიღო, რომ ბოლო მეოთხედის შუაწელში დინამოელთა ლიდერობა მინიმუმამდე შემცირდა – 64:63. ირაკლი ხოშტარიამ წუთშესვენება აიღო და სტუელების გაქცევას ფორვარდ ფლინ კლაიმენის სამქულიანები დაუპირისპირა. ამერიკელმა მსროლელმა ზედიზედ 2 სამიანი ჩააგდო, საჯარიმოების ტყორცნის უფლებაც მოიპოვა და დინამოელთა უპირატესობა კვლავ საიმედო გახდა, რის შემდეგაც მატჩის ბედი გადაწყდა.

დინამოელებს ორმა ამერიკელმა ლეგიონერმა – ლამარ კარიმმა და ფლინ კლაიმენმა ულიდერეს. პირველმა 25 ქულა დააგროვა, ხოლო კლაიმენის ანგარიშზე 21 ქულა და 14 მოხსნაა. ორმაგი დუბლი ჰქონდა დინამოელ ბექა ჩიკვილაძესაც – 10 ქულა, 11 მოხსნა. ტექნიკოსთა გუნდში 16 ქულით საუკეთესო ზურაბ კორკოტაძე იყო.

ამით „დინამომ“ პირველი წრე 6 მოგებითა და 4 მარცხით დაასრულა. ანალოგიური შედეგი აქვს „ქუთაისსაც“, თუმცა იმერული კლუბი პირადი მოგების ხარჯზე უსწრებს დინამოელებს.

### მატჩის შემდეგ

**ირაკლი ხოშტარია (დინამო):**

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეტოქეს არ ჰყავს ძლიერი შემადგენლობა, მე პირადად ყოველთვის სიფრთხილით ვეკიდები ზურაბ ტომარაძის გუნდთან შეხვედრას. რაც შეეხება შეხვედრას, კარტერის ტრავმამ მატჩის მსვლელობაზე დიდი გავლენა იქონია. მიუხედავად ამისა, ბოლომდე ვიასპარეზეთ და გავიმარჯვეთ. საახალწლო შესვენებაზე იმედია გამოჯანმრთელდებიან ჩვენი მოთამაშეები და მეორე წრეს სრული შემადგენლობით შევხვდებით.

**ზურაბ ტომარაძე (სტუ):**

– ვულოცავ მოწინააღმდეგეს გამარჯვებას, კარტერის ტრავმამ იმოქმედა თამაშზე, ჩემი აზრით ის არის სუპერლიგის ერთერთი საუკეთესო მოთამაშე, დინამოს გუნდი აღმავლობის გზაზეა, რომელსაც სხვა გეგმები და მიზნები აქვს. რაც შეგვეხება ჩვენ, ვცდილობთ თითოეულ შეხვედრაში გამოვასწორო შელახული რეპუტაცია და არ დავკარგოთ რწმენა იმისა რომ ჩვენც შეგვიძლია ბრძოლა.

**გიორგი ორმოცაძე (დინამო):**

– მეტოქემ ჩვენზე დალაგებულად ითამაშა, მაგრამ ჩვენ გაგვიმართლა და გამარჯვება მოვიპოვეთ.

**ვაჟა ჯანაშია (სტუ):**

– ძალიან ცუდად ვიასპარეზეთ და ეს შედეგზეც აისახა. ვეცდებით მეორე წრეში მაქსიმალურად გამოვასწოროთ ჩვენი ხარვეზები.

## თსსუ _ შსს 44:88
(8: 22; 11: 22; 7: 23; 18: 21)

„შსს-აკადემიამ“ პირველი წრე მაჟორულ ნოტაზე დაასრულა. გიორგოს კეცელიდისის გაწვრთნილმა აკადემიელებმა თსსუ ორმაგი სხვაობით – ანგარიშით 88:44 დაამარცხეს.

პირველი წრის ბოლო ტურის მორიგ მატჩში ერთმანეთს „შსს-აკადემიას“ კონკურენტები – „არმია“ და „ოლიმპი“ ხვდებიან და ეს მატჩი ცხრილში სავარაუდოდ ცვლილებებს შეიტანს.

რაც შეეხება უშუალოდ შსს-თსსუ-ს მატჩს, შეხვედრის ბედი მალევე გაირკვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდმა პირველი მეოთხედი 22:8 მოიგო, დიდი შესვენებისთვის კი უკვე 25 ქულით ლიდერობდა. მოგება განაღდებული ჰქონდა და აკადემიელთა მწვრთნელმა ყველა კალათბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, რომლებმაც კარგად ითამაშეს და თავიანთ გუნდს დიდი სხვაობით გაამარჯვებინეს.

„შსს-აკადემიას“ 18 ქულითა და 12 მოხსნით ამერიკელმა კირკ არჩიბექმა ულიდერა, დენოტა ვონმა კი თავი 13 ქულას მოუყარა. სუპერლიგაში პირველი ქულები მიითვალა აკადემიელთა 15 წლის კალათბურთელმა ლევან გოგალაძემ, რომელმაც თავის გუნდს 5 ქულა შესძინა. მედიკოსთა შორის საუკეთესო შედეგი გიორგი რევაზაშვილს ჰქონდა, რომელმაც 16 ქულა დააგროვა.

### მატჩის შემდეგ

**გეორგის კეცელიდისი (შსს აკადემია):**

– ყველას ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს, რაც შეეხება დღევანდელს მატჩს, ბიჭებმა ძალიან მობილიზებულად იასპარეზეს. სასიხარულოა, რომ დღეს თამაშში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მოთამაშეებმა, მათ შორის 15 წლის ლევან გოგალაძემ, რომელმაც მოედანზე 10 წუთი გაატარა. წინა პრესკონფერენციაზე აღვნიშნე რომ აუცილებლად გადავხედავდი „დინამოსთან“ შეხვედრის ვიდეოჩანაწერს. განვიხილეთ წინა ტურის მატჩი და მსაჯების მიმართ პრეტენზია არ გაგვაჩნია.

**გოდერძი კორძაძე (თსსუ):**

– ვულოცავ შსს აკადემიას გამარჯვებას, რაც შეგვეხება ჩვენ, მორიგი „გეგმური“ მარცხი განვიცადეთ. ვეცდებით მეორე წრიდან გარკვეული კორექტივები შევიტანოთ და უკეთესად ვაიასპარეზოთ.

**ზვიად ანთაძე (შსს აკადემია):**

– კარგი თამაში იყო და წარმატებას ვუსურვებ სამედიცინოს გუნდს. ყველას გილოცავთ დამდეგ ახალ წელს.

**ლევან ელიაძე (თსსუ):**

– დაცვაში ძალიან ცუდად ვიასპარეზეთ. იმედია მეორე წრიდან გამოვასწორებთ ჩვენს შეცდომებს და უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 10 | 8 | 2 | 894:651 | 18 |
| 2.შსს | 10 | 8 | 2 | 830:660 | 18 |
| 3.ოლიმპი | 10 | 8 | 2 | 865:726 | 18 |
| 4.რუსთავი | 9 | 7 | 2 | 683:621 | 16 |
| 5.ქუთაისი | 10 | 6 | 4 | 782:732 | 16 |
| 6.დინამო | 10 | 6 | 4 | 782:748 | 16 |
| 7.თსუ | 10 | 4 | 6 | 693:783 | 14 |
| 8.სოხუმი | 10 | 3 | 7 | 779:858 | 13 |
| 9.ბათუმი | 9 | 3 | 6 | 629:703 | 12 |
| 10.თსსუ | 10 | 1 | 9 | 604:867 | 11 |
| 11.სტუ | 10 | 0 | 10 | 640:832 | 10 |

## შედეგები

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

ტანზანია-ზამბია ........................ 1:0
ს.აფრიკა-მალავი ........................ 3:1
ანგოლა-რუანდა ........................ 1:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

უიგანი-არსენალი ........................ 0:1
ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი ............. 2:1
ვესტ ჰემი-ევერტონი ..................... 1:2
სიტი-რედინგი ............................ 1:0
ნიუკასლი-ქპრ ............................ 1:0
საუთჰემპტონი-სანდერლენდი ..... 0:1
ტოტენჰემი-სტოკი ........................ 0:0
ლივერპული-ფულემი ................... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 17 | 14 | 0 | 3 | 43:24 | 42 |
| 2.სიტი | 18 | 11 | 6 | 1 | 34:15 | 39 |
| 3.არსენალი | 18 | 8 | 6 | 4 | 32:18 | 30 |
| 4.ევერტონი | 18 | 7 | 9 | 2 | 30:22 | 30 |
| 5.ტოტენჰემი | 18 | 9 | 3 | 6 | 30:25 | 30 |
| 6.ჩელსი | 16 | 8 | 5 | 3 | 28:17 | 29 |
| 7.ვესტ ბრომვიჩი | 17 | 8 | 3 | 6 | 24:21 | 27 |
| 8.ლივერპული | 18 | 6 | 7 | 5 | 27:23 | 25 |
| 9.ნორვიჩი | 18 | 6 | 7 | 5 | 20:27 | 25 |
| 10.სტოკი | 18 | 5 | 10 | 3 | 15:13 | 25 |
| 11.სუონსი | 17 | 6 | 5 | 6 | 26:22 | 23 |
| 12.ვესტ ჰემი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:22 | 23 |
| 13.ფულემი | 18 | 5 | 5 | 8 | 28:33 | 20 |
| 14.ნიუკასლი | 18 | 5 | 5 | 8 | 20:26 | 20 |
| 15.სანდერლენდი | 18 | 4 | 7 | 7 | 19:24 | 19 |
| 16.ასტონ ვილა | 17 | 4 | 6 | 7 | 15:24 | 18 |
| 17.საუთჰემპტონი | 17 | 4 | 3 | 10 | 22:33 | 15 |
| 18.უიგანი | 18 | 4 | 3 | 11 | 18:33 | 15 |
| 19.ქპრ | 18 | 1 | 7 | 10 | 15:31 | 10 |
| 20.რედინგი | 18 | 1 | 6 | 11 | 21:37 | 9 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-ბარნლი ..................... 2:2
იფსვიჩი-ბრისტოლი ..................... 1:1
ლესტერი-კარდიფი ...................... 0:1
ლიდსი-მიდლსბრო ...................... 2:1
მილუოლი-ბარნსლი ..................... 1:2
პიტერბრო-ბოლტონი ................... 5:4
უოტფორდი-ნოტინგემი ............... 2:0
უენსდი-ჩარლტონი ..................... 2:0
კრ.პალასი-ჰადერსფილდი .......... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბეტისი-მალიორკა ....................... 1:2
ვალიადოლიდი-ბარსელონა ........ 1:3
მალაგა-რეალი ........................... 3:2
ოსასუნა-გრანადა ....................... 1:2
ბილბაო-სარაგოსა ...................... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 17 | 16 | 1 | 0 | 57:19 | 49 |
| 2.ატლეტიკო | 17 | 13 | 1 | 3 | 37:17 | 40 |
| 3.რეალი | 17 | 10 | 3 | 4 | 41:17 | 33 |
| 4.მალაგა | 17 | 9 | 4 | 4 | 28:12 | 31 |
| 5.ბეტისი | 17 | 9 | 1 | 7 | 26:28 | 28 |
| 6.ლევანტე | 17 | 8 | 3 | 6 | 21:24 | 27 |
| 7.სოსიედადი | 17 | 7 | 4 | 6 | 24:20 | 25 |
| 8.რაიო | 17 | 8 | 1 | 8 | 22:32 | 25 |
| 9.ვალენსია | 17 | 7 | 3 | 7 | 23:26 | 24 |
| 10.ხეტაფე | 17 | 7 | 3 | 7 | 21:25 | 24 |
| 11.ვალიადოლიდი | 17 | 6 | 4 | 7 | 23:21 | 22 |
| 12.სარაგოსა | 17 | 7 | 1 | 9 | 19:24 | 22 |
| 13.ბილბაო | 17 | 6 | 3 | 8 | 21:33 | 21 |
| 14.სევილია | 17 | 5 | 4 | 8 | 22:26 | 19 |
| 15.გრანადა | 17 | 4 | 4 | 9 | 13:25 | 16 |
| 16.მალიორკა | 17 | 4 | 4 | 9 | 16:29 | 16 |
| 17.სელტა | 17 | 4 | 3 | 10 | 16:22 | 15 |
| 18.ესპანიოლი | 17 | 3 | 6 | 8 | 19:26 | 15 |
| 19.ოსასუნა | 17 | 3 | 5 | 9 | 14:19 | 14 |
| 20.დეპორტივო | 17 | 2 | 6 | 9 | 21:39 | 12 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-ალკორკონი ................. 0:1
ბარსელონა ბ-ხირონა ................. 4:4
კორდობა-უელვა ......................... 0:2
გვადალახარა-რასინგი ............... 1:1
ლას პალმასი-მირანდესი ............ 2:0
პონფერადინა-მურსია ................ 1:0
საბადელი-ლუგო ......................... 0:1
ხიხონი-უესკა ............................. 1:0
ერკულესი-ნუმანსია .................... 1:3

**იტალია. სერია ა**

ინტერი-ჯენოა ............................ 1:1
ატალანტა-უდინეზე ..................... 1:1
ბოლონია-პარმა ......................... 1:2
პალერმო-ფიორენტინა ................ 0:3
სამპდორია-ლაციო ...................... 0:1
სიენა-ნაპოლი ............................ 0:2
ტორინო-კიევო ........................... 2:0
რომა-მილანი ............................. 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 18 | 14 | 2 | 2 | 39:11 | 44 |
| 2.ლაციო | 18 | 11 | 3 | 4 | 26:18 | 36 |
| 3.ფიორენტინა | 18 | 10 | 5 | 3 | 36:19 | 35 |
| 4.ინტერი | 18 | 11 | 2 | 5 | 30:19 | 35 |
| 5.ნაპოლი | 18 | 11 | 3 | 4 | 33:17 | 34 |
| 6.რომა | 18 | 10 | 2 | 6 | 42:29 | 32 |
| 7.მილანი | 18 | 8 | 3 | 7 | 34:26 | 27 |
| 8.პარმა | 18 | 7 | 5 | 6 | 25:24 | 26 |
| 9.კატანია | 18 | 7 | 4 | 7 | 26:27 | 25 |
| 10.უდინეზე | 18 | 5 | 9 | 4 | 26:26 | 24 |
| 11.ატალანტა | 18 | 7 | 3 | 8 | 18:27 | 22 |
| 12.კიევო | 18 | 6 | 3 | 9 | 20:29 | 21 |
| 13.ტორინო | 18 | 4 | 8 | 6 | 20:22 | 19 |
| 14.ბოლონია | 18 | 5 | 3 | 10 | 21:24 | 18 |
| 15.სამპდორია | 18 | 5 | 3 | 10 | 20:27 | 17 |
| 16.პესკარა | 18 | 5 | 2 | 11 | 15:35 | 17 |
| 17.კალიარი | 18 | 4 | 4 | 10 | 16:33 | 16 |
| 18.პალერმო | 18 | 3 | 6 | 9 | 15:27 | 15 |
| 19.ჯენოა | 18 | 3 | 5 | 10 | 18:30 | 14 |
| 20.სიენა | 18 | 4 | 5 | 9 | 16:26 | 11 |

**შენიშვნა:**

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა*
*ნაპოლის დაკლებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლილი-მონპელიე ........................ 4:1
აიაჩო-რენი ............................... 2:4
ბასტია-ნანსი ............................. 4:2
ბორდო-ტრუა ............................. 0:0
ლიონი-ნიცა .............................. 3:0
ლორიანი-რეიმსი ....................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 19 | 11 | 5 | 3 | 36:12 | 38 |
| 2.ლიონი | 19 | 11 | 5 | 3 | 33:17 | 38 |
| 3.მარსელი | 18 | 11 | 2 | 5 | 23:20 | 35 |
| 4.რენი | 19 | 10 | 2 | 7 | 29:24 | 32 |
| 5.ლორიანი | 19 | 8 | 7 | 4 | 32:29 | 31 |
| 6.ბორდო | 19 | 6 | 11 | 2 | 21:14 | 29 |
| 7.ლილი | 19 | 7 | 8 | 4 | 23:18 | 29 |
| 8.ნიცა | 19 | 7 | 8 | 4 | 26:26 | 29 |
| 9.სენტ ეტიენი | 18 | 7 | 6 | 5 | 24:13 | 27 |
| 10.ვალანსიენი | 18 | 7 | 5 | 6 | 29:23 | 26 |
| 11.მონპელიე | 19 | 7 | 5 | 7 | 29:24 | 26 |
| 12.ტულუზა | 18 | 6 | 5 | 7 | 23:20 | 23 |
| 13.ბასტია | 19 | 6 | 4 | 9 | 26:41 | 22 |
| 14.ბრესტი | 19 | 6 | 3 | 10 | 20:28 | 21 |
| 15.რეიმსი | 19 | 4 | 7 | 8 | 16:20 | 19 |
| 16.აიაჩო | 19 | 5 | 6 | 8 | 21:29 | 19 |
| 17.ევიანი | 18 | 5 | 4 | 9 | 21:30 | 19 |
| 18.სოშო | 18 | 4 | 4 | 10 | 17:27 | 16 |
| 19.ტრუა | 19 | 2 | 7 | 10 | 20:37 | 13 |
| 20.ნანსი | 19 | 1 | 8 | 10 | 15:33 | 11 |

**შენიშვნა:**

*აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა*

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე მანი-მონაკო ......................... 2:3

**ჰოლანდია. ეიედივიზიონი**

ჰერენვენი-ვიტესი ...................... 2:1
*ვიტესელთა გოლი გურამ კაშიამ გაიტანა*
დენ ჰააგი-ნაიმეგენი .................. 2:0
ერაკლესი-ზვოლე ...................... 1:1
ბრედა-პსვ ................................. 1:6

**ჰოლანდია. 1 დივიზიონი**

იგლზი-ალმერე .......................... 2:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-სტ.ჯონსონი ............... 2:0
ინვერნესი-დანდი ...................... 4:1
სელტიკი-როსი ........................... 4:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ისთანბული ............... 0:2
ფენერბახჩე-ქარაბუქი ................ 1:3

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ატლანტა-ჩიკაგო ....................... 92:75
*ზაზა ფაჩულია: 6 ქულა, 8 მოხსნა*
ვაშინგტონი-დეტროიტი .......... 87:96
მაიამი-იუტა ........................... 105:89
ნიუ ორლეანი-ინდიანა ............ 75:81
ჰიუსტონი-მემფისი ................ 121:96
მილუოკი-კლივლენდი ............ 82:96
დენვერი-შარლოტი ............... 110:88
პორტლენდი-ფინიქსი ............ 96:93
გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი 115:118(ოტ)

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# „გონივრული მოძრაობა“ სამორი ბალდესგან

ეკა ირემაშვილი

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ პირველი სეზონის გამარჯვებულმა სამორი ბალდემ პირველი ალბომი ჩაწერა და მისი პრეზენტაცია კლუბში „სენატი“ მოაწყო. ალბომი კომპანია „ბრავო რექორდსში“ ჩაიწერა და მას „გონივრული მოძრაობა“ ეწოდება. სამორი ბალდესთან ერთად ალბომზე დიჯეი გროტასკიმ იმუშავეს.

– „ცეკვავენ ვარსკვლავების“ პირველი სეზონის გამარჯვებული სამორი ბალდემ „ბრავო რექორდსში“ სადებიუტო ალბომი ჩაწერა. პროექტმა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დიდი პოპულარობა და ხალხის სიყვარული მოუტანა სამორის. პროექტის მხარდამჭერმა ბანკმა „რესპუბლიკამ“, ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალი“ გაითვალისწინა სამორის უმთავრესი ინტერესი – მუსიკა და მუსიკოსისთვის ყველაზე სასურველი საჩუქარი – პირველი ალბომის დაფინანსება გადასცა ჯილდოდ, რომელიც „ბრავო რექორდსში“ ჩაიწერა. „ბრავო რექორდსმა“ ჰიპ-ჰოპ ალბომზე მუშაობა თავის ისტორიაში პირველად განახორციელა, რაშიც ძალიან დიდი ინტერესით და გულმოდგინებით ჩაერთო მთელი გუნდი. ალბომის დიზაინის კონცეფცია ჯგუფის წევრების ყოველდღიური ცხოვრების სტილიდან გამომდინარე გაკეთდა, სადაც ნათლად ჩანს მათი სტილი და მსოფლმხედველობა, – განაცხადა „ბრავო რექორდსის“ წარმომადგენელმა დალი ფრიდონაშვილმა.

მისივე თქმით, სამორის ალბომში შესულია 10 მუსიკალური ნაწარმოები, რომლებიც ქართულ ენაზე სრულდება.

– სამორი და გროტასკი ერთობლივად ქმნიან მუსიკალურ კომპოზიციებს, რომელთა არანჟირების და ტექსტის ავტორებიც თვითონვე არიან. სამორი ბალდე და მისი ბავშობის მეგობარი გოჩა ხუხუნი ადრეული ასაკიდან ჰიპ-ჰოპის სუბკულტურის მიმდევრები არიან. ჰიპ-ჰოპი მათი ცხოვრების სტილია. დუეტის სახელია „ძველი რესურ-



სი“, სადაც სამორი არის ემსი და პროდიუსერი და გოჩა მეტსახელად გროტასკი – ემსი და დიჯეი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არც ერთ მათგანს არ მიუღია მუსიკალური განათლება. ჯგუფი მუშაობისას იყენებს იმ ტექნოლოგიებს და ხერხებს, რომლებსაც იყენებდნენ ჰიპ-ჰოპის ე.წ. „ოქროს ხანაში“, რომელიც მოიცავს გასული საუკუნის 80-90-იან წლებს. სწორედ ჯგუფის სახელწოდებაც აქედან მოდის – „ძველი რესურსი“. დიჯეი გროტასკი ერთადერთი სკრეჩ დიჯეია საქართველოში. იგი არ იყენებს თანამედროვე ციფრულ ეფექტებს და იგივე ეფექტების მიღებას ვინილის ფირფიტებზე არსებული ხმის მეშვეობით ახერხებს. რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს – სიმღერების ტექსტებს, მათი შინაარსი ემსახურება ახალგაზრდების პრობლემებს, მათ შინაგან სამყაროს, საზოგადოებაში საკუთარი მსოფლმხედველობის დამკვიდრებას, ხშირად პროტესტს არსებული რეალობის მიმართ და ამიტომ სიმღერების ტექსტების დატვირთვა, მათი ფილოსოფია და მნიშვნელობა ამ მუსიკალურ მიმდინარეობაში უმთავრესია და თანამედროვე ახალგაზრდული ქართული პოეზიის ერთგვარ გამოვლინებას წარმოადგენს, – აღნიშნავს „ბრავო რექორდსის“ წარმომადგენელი.

ჯგუფის პირველი ალბომი სახელად „გონივრული მოძრაობა“ ემსახურება ჰიპ-ჰოპ კულტურის დამკვიდრებას და განვითარებას საქართველოში.

– თვითონ ალბომის სახელი ნიშნავს „ჰიპ-ჰოპს“, ჰიპ – გონივრული, ჰოპ – მოძრაობა. ჰიპ-ჰოპ კულტურა მოიცავს ოთხ ძირითად ელემენტს – დიჯეინგს, ემსიინგს, გრაფიტის და ბრეიქდანსს. ალბომი ეძღვნება როგორც ჰიპ-ჰოპ კულტურის მიმდევრებს და ენთუაზიასტებს, ასევე ადამიანებს ვისთვისაც ეს ურბანული სუბკულტურა შედარებით ახალია, – აცხადებს დალი ფრიდონაშვილი.

თავად ჯგუფის „ძველი რესურსი“ წევრების განცხადებით:

– ჰიპ-ჰოპი ჩვენთვის ადრეული ასაკიდან გახდა თვითგამოხატვის ერთ-ერთი საუკეთესო, ხოლო დღეისთვის მთავარი საშუალება. ჩვენ გვჯერა, რომ ჰიპ-ჰოპის დანიშნულება ჩვენში არსებული რასობრივი და კლასობრივი საზღვრების წაშლაა, რაც იყო მისი პირველადი მთავარი მიზანი.

დალი ფრიდონაშვილის თქმით, სიდი ალბომი „ბრავო რექორდსის“ სადისტრიბუციო ქსელში 23 დეკემბრიდან იყიდება.

– სამორი ბალდეს სადებიუტო ალბომის შეძენის მსურველს შესაძლებლობა ექნება იყიდოს იგი საქართველოს მასშტაბით 350-მდე კომერციულ ობიექტში, მათ შორის, ლიტერატურულ კაფეებში, ბიბლუსის ქსელის მაღაზიებში, პრესის ჯიხურებში, მაღაზია „გურუ“-ში და რუსთაველზე არსებული სუვენირების მაღაზიებში, – ამბობს დალი ფრიდონაშვილი.

# კულტურის სამინისტრო: ნუ გვიგორებთ შავ პიარს!“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

„ნიჭიერთა ათწლედი“ განაპირობებს, თუ რა მომავალი აქვთ საქართველოში არსებულ სიმფონიურ ორკესტრებს, ოპერისა და ბალეტის თეატრს, სახელმწიფო კონსერვატორიას და უკლებლივ ყველა სამუსიკო დარგს. სამწუხაროდ, ორი თვის თავზეც რჩება შთაბეჭდილება, რომ თქვენ უბრალოდ დაბნეული, უმოქმედო, საყვარელი ადამიანი ბრძანდებით, რომელიც ვერ აცნობიერებს, თუ რა ტვირთი წამოიკიდა მხრებზე. როგორ ფიქრობთ შეძლებთ ქართულ კულტურას მიხედოთ, თუკი სამინისტროს კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტებაც კი ვერ მოახერხეთ? ყურადღებით ვადევნებ თვალყურს თქვენს გამოსვლებს და ვერც ერთ საკითხზე ვერ მოვისმინე თქვენი პირადი მკაფიო მოსაზრება. ყველა კითხვაზე გვპასუხობთ „ხალხს შევეკითხებით“. შეეკითხეთ, ბატონო, მაგრამ ხომ შეიძლება თქვენი აზრიც გაგაჩნდეთ?! ხომ არ აჯობებდა დატოვოთ დაკავებული პოსტი, სანამ კიდევ მეტ ზარალს არ მიაყენებთ ქართული კულტურის განვითარებას. თქვენი ყოყმანი, დაბნეულობა და სისუსტე ადამიანურ თანაგრძნობას იწვევს, მაგრამ რთულია ანგარიში გაგიწიოთ, ვინაიდან უძვირფასესი დრო იკარგება, რასაც ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი ეწირება“.

თავის მხრივ კულტურის სამინისტრომ ქალბატონ თამარ შენგელიას ღია წერილზე სპეციალური განცხადებით უპასუხა:, რომელსაც „ახალი თაობა“ ასევე უცვლელად გთავაზობთ:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ დირექტორის ქალბატონ თამარ შენგელიას ღია წერილთან დაკავშირებით, სამინისტრო აცხადებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები არ შეესაბამება სინამდვილეს და მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის გზით სამინისტროს ხელმძღვანელობის დისკრედიტაციას. კერძოდ, ინფორმაცია დაწესებულების ბიუჯეტის შემცირების შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, ვინაიდან 2012 წელს არსებული 960.000 ლარის ნაცვლად „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით „ნიჭიერთა ათწლედისათვის“ გათვალისწინებულია 1.460.000 ლარი (სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად), რაც წარმოადგენს დაფინანსების ზრდას 500.000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, სამუსიკო სასწავლებლის ხელმძღვანელობას, გონივრული მართვის პირობებში, 2013 წელს ექნება საკმარისი ფინანსური რესურსი დასახული მიზნების განსახორციელებლად. 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს მას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდებზე. რაც შეეხება პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას, პრემიერ-მინისტრის დავალებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში თანამშრომელთა შესაძლო შემცირების თაობაზე, სამინისტრო აცხადებს, რომ მსგავსი მეთოდები არ შეესაბამება ახალი ხელისუფლების მართვის პრინციპებს. სამინისტრო მიესალმება ჯანსაღ კრიტიკას, ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ არის ღია, ხოლო ამგვარი უპასუხისმგებლო და დეზინფორმაციული განცხადებები განხილულ იქნება როგორც სამინისტროს წინააღმდეგ მიმართული შავი პიარი“.

# ბერა სადებიუტო ალბომს გამოუშვებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ის გამოვა ორშაბათს, 24 დეკემბერს. წარმოგიდგენთ ექსკლუზიურ კადრებს, რომელიც ჯერ არავის უნახავს! მადლობა გაგებისთვის. მუდამ თქვენი ბერა!

ბერას პირველ ალბომში 18 სიმღერაა შესული – „ვინ ვარ“, „პუბლიკა შოკშია“, „ვიცი გესმის“, „მიყვარხარ ალბათ“ „დაბრუნდი“, „ლააა“, „სიმღერა შენზე“, „ბედისწერა“, „ერთად“, „დედა“, „ნამდვილი გმირი“, „ბერასთან“, „ღიმილით გამიხსენე“, „შორს“, „ჰიპ-ჰოპ ვალსი“, „ოცნებების ღამე“, „ჩვენ ვართ საქართველო“ და „გპირდები“. ალბომში შესული სიმღერებიდან 8 სრულიად ახალი დაწერილია. რეპერის გადაწყვეტილებით, მისი პირველი ალბომიდან შემოსული თანხა მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდება, თუმცა მანამდე თავის ერთგულ გულშემატკივრებს ახალი კლიპი „გაერთე შენც“ შესთავაზა, სადაც მის სტუდიაში გადაბარგებული რუსთავი ორის იუმორისტებიც მონაწილეობენ.

სადებიუტო ალბომის გამოცემამდე ბერა მუსიკალური დაჯილდოება „მეგას“ ტრიუმფატორი გახდა. მან სამ ნომინაციაში წლის ყველაზე პროდუქტიული მომღერალი, პოპულარული რეპ-შემსრულებელი და წლის კონცერტი გაიმარჯვა. ბერასთან ერთად მუსიკალურ დაჯილდოებაზე ქართული ესტრადის სხვა წარმომადგენლებიც დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ნომინაციებში: საუკეთესო კომპოზიტორი – მაიკო კაჭკაჭიშვილი, საუკეთესო ბრენდ-მომღერალი – თემურ წიკლაური, საუკეთესო ბრენდ-მომღერალი – თემურ თათარაშვილი, საუკეთესო ავტორ-შემსრულებელი – გელა გნოლიძე, ახალი თაობის – ვარსკვლავი გიორგი სუხიტაშვილი, წლის საუკეთესო იმიჯი – სოფო ბედია, წლის აღმოჩენა – გურამ წოწკოლაური, წლის პოპულარული ტელე-შოუ – „ახალი ხმა“, „მეგას“ ლაურეატი – ნინო კალანდაძე, „მეგას“ ლაურეატი – ლიკა ჩხარტიშვილი, საუკეთესო საბავშვო სტუდია – „ჭინჭრაქა“, საუკეთესო ქორეოგრაფიული ანსამბლი – „ოქროს ფარი“, წლის კლიპ-ნამუშევარი – მაიკო კაჭკაჭიშვილი და ძვალი „ჩემო თბილის ქალაქო“, წლის რემიქსი – გიო დათიაშვილი და თაკო მელიქიშვილი „წითელი ბასანოშკები“, წლის ვოკალისტი – ეკა კვალიაშვილი, წლის პოპულარული სიმღერა – ეთერ კაკულია „ვაკა-ვაკა“, წლის პოპულარული მომღერალი – მარკუს მეტრეველი, საუკეთესო ჯგუფი – „ფორტე“, ხალხის სიმპათია – ანსამბლი „ალილო“, წლის დუეტი – მაიკო კაჭკაჭიშვილი და ძვალი „ჩემო თბილის ქალაქო“, სახალხო დუეტი – დუეტი „ჯორჯია“, წლის ნოვაციური სიმღერა – ბაია გიორგაძე „სალავეი“, წლის ტექსტების ავტორი – ალკაზარ კაკულია, ყველა დროის საყვარელი მომღერალი – ეკა კვალიაშვილი, ხოლო დათო ოძელაშვილის სახელობის „მეგა“ წელს ანსამბლ „75“-ს მიენიჭა, ეს ჯილდო კი მისმა ერთ-ერთმა წევრმა ბესო კალანდაძემ აიღო.

## სპორტი

# მინისტრი სუმოისტებს შეხვდა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ვეტერანი ქართველი სუმოისტი კოკაი-ლევან ცაგურია გულშემატკივრებს შეხვდა. შეხვედრას კიდევ ერთი ქართველი სუმოისტი, გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი), სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და სუმოს ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ რუხაძეც დაესწრნენ. შეხვედრა სუმოს გულშემატკივართა კლუბის ხელმძღვანელის ამირან ურუშაძის თაოსნობით გაიმართა.

კოკაიმ სექტემბრის ბაშოზე ტრავმა მიიღო, რის გამოც ტურნირზე ასპარეზობა ველარ შეძლო, რამდენიმე დღეში კი კარიერის დასრულებაც გადაწყვიტა. თებერვალში სუმოდან კოკაის ოფიციალური გაცილების ცერემონიალი. მისი დებიუტი პროფესიულ ლიგაში 2001 წელს შედგა.

**ლევან ცაგურია:**

– ყველას დიდ მადლობას გიხდით დღევანდელი შეხვედრისთვის. ქომაგების მხარდაჭერას მთელი კარიერის მანძილზე ვგრძნობდი და ძალიან მიხარია, რომ ნელ-ნელა ჩემს სამშობლოშიც ბევრმა შეიყვარა სუმო. ბედნიერი ვარ, რომ საქართველო-იაპონიის ურთიერთობებში მცირე წვლილი მეც შევიტანე. ბავშვობაში სუმოს უცხოური არხებით ვადევნებდი თვალს და მაშინ დავინტერესდი სპორტის ამ სახეობით. მოგვიანებით ჩემს უფროს მეგობარს, ლევან ებანოიძეს დავუკავშირდი, რომლის დახმარებითაც იაპონიაში აღმოვჩნდი და ვარჯიში დავიწყე. სიმართლე გითხრათ, სუმოს გამო ბევრ რამეზე ვთქვი უარი, თუმცა ეს ნაბიჯი არასდროს მინანია. პროფესიონალი სუმოისტი გარკვეულწილად შეზღუდულია. მაგალითად, არ შეუძლია იქონიოს მობილური ტელეფონი, ვერ დაჯდება საჭესთან... მიუხედავად ყველაფრისა. ვთვლი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. რა თქმა უნდა, მსურს, რომ სპორტის ეს სახეობა საქართველოშიც განვითარდეს, მაგრამ ეს ორ და სამ თვეში არ მოხდება და არც მხოლოდ სურვილი კმარა. საჭიროა კლუბების ჩამოყალიბება, ინფრასტრუქტურის განვითარება, სპორტსმენებს მუდმივად სჭირდებათ პრაქტიკა... კარიერის დასრულება ტრავმის გამო გადავწყვიტე. სექტემბერში დავშავდი, ტრავმა მსუბუქი არ აღმოჩნდა და მეც სუმოდან წასვლა გადავწყვიტე. 2 თებერვალს ოფიციალურად გამაცილებენ – თმის შეჭრის შემდეგ.

**ლევან ყიფიანი:**

– თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლევანი და თეიმურაზი საქართველოს საუკეთესო ელჩები არიან იაპონიაში. ბევრ პოლიტიკოსს გაუჭირდება უცხოეთში ქვეყნის სახელის ისე წარმოჩენა, როგორც ეს კოკაიმ და გაგამარუმ შეძლეს. ამისთვის ისინი მხოლოდ მადლობას იმსახურებენ.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ცhიფყღჯჰლბ



1. ქიმიური ელემენტი; 2. ქართული გაზეთი; 3. ვერდის ოპერა; 4. სასვენი ნიშანი; 5. ტკბილი, გამაგრილებელი სასმელი; 6. ოფიციანტი გერმანიაში; 7. ... პუარო; 8. სამკუთხედის წვეროსა და მოპირდაპირე გვერდის შუაწერტილის შემაერთებელი მონაკვეთი; 9. გოეთეს ნაწარმოები; 10. მოკლე ორლესული მახვილი; 11. ღამის ფრინველი; 12. ახალი წელი გურიაში; 13. ... ჟულეზნოვა; 14. ... ჭანკვეტაძე; 15. ძაღლების სადარაჯო ადგილი ცხვრის სადგომის გარშემო; 16. ბატონო (ინგლისურად); 17. შენობის ნაწილი (მიწის დონეზე დაბლა მდებარე); 18. „პარმის ...“; 19. ტბა აფრიკაში; 20. თლილი ქვის ოთხკუთხა ძეგლი; 21. ტაბლეტი; 22. თვალის გუგა; 23. სპორტული სატყორცნი იარაღი; 24. კალიმანტანი ანუ ...; 25. სამეტყველო ორგანო; 26. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი; 27. სუსტი არაყი; 28. ქალიშვილის ან დის ქმარი; 29. ვლადიმერ ... (ფსიქოლოგი); 30. ასო „რ“-ს სახელწოდება; 31. აზრი, ჩანაფიქრი.

**ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღტ.ყტ,ეჯბ hჰჯცღჯჰლტ,ბც გფცეſტ,ბ5**

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ცანგალა; 2. ნებიერი; 3. „დნიპრო“; 4. წნორი; 5. ესტანსია; 7. სნო; 11. ნასერი; 15. ჰანტელი; 16. „ელგუჯა“; 17. ხომლი; 18. იბიცა; 20. სუფსა; 22. „ლეგო“.

**თარაზულად:** 6. აქსისი; 8. ჰეტმანი; 9. პროექტი; 10. გუდრონი; 12. ტორტი; 13. იუანი; 14. კვესტურა; 19. მანტისა; 21. ნობელი; 22. „ბრაგა“; 24. ელინგი; 25. ალიასკა; 26. ჰარვარდი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. „რეკორდი“; 2. „ნიანგი“; 3. ჩუქურთმა; 4. ლანდტაგი; 7. ბაბანეური; 8. მაშარაბი; 12. ბელფასტი; 14. „საფერავი“; 16. ენერგია; 17. „ავატარი“; 19. ბანა; 20. არფა.

**თარაზულად:** 5. რეციდივი; 6. აქუბარდია; 9. არენდა; 10. გიშერი; 11. ეშერა; 13. გერმა; 15. კაკადუ; 18. შნეკი; 21. კანდელაკი; 22. გვირილა; 23. მანტისა.

# ყირიმში სტალინის გამოფენა დაარბიეს

იოსებ სტალინის დაბადების 133-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის სტენდების დარბევის ფაქტზე სიმფეროპოლის სამართალდამცავებმა გამოძიება დაიწყეს. სიმფეროპოლის ცენტრში მოწყობილი გამოფენის ორგანიზატორები შეეცადნენ, სტალინი წარმოეჩინათ როგორც „რუსეთის ცივლიზაციის ისტორიაში, ყველაზე გამორჩეულ სახელმწიფო მოხელედ“.

გამოფენის მიმდინარეობისას ახალგაზრდების ჯგუფმა ნეგატიური განწყობა გამოხატა. ისინი სკანდირებდნენ – „სტალინი, ჰიტლერი – ფაშისტები“. შემდეგ მათვე დააშალეს სტენდები და „ბელადის“ ფოტოებს სვასტიკები დაახატეს.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოფენას უარყოფითი შეფასება მისცა ყირიმელი თათრების მეჯლისმაც. ყირიმის საკანონმდებლო ორგანოში განაცხადეს, რომ ასეთი გამოფენების ორგანიზება სუვერენული უკრაინის ტერიტორიაზე მიუღებელია. გამოფენა სრულიად რუსეთის ორგანიზაცია „სუტ ვრემენიმ“ მოაწყო.

# სუდანში გაეროს ვერტმფრენის ჩამოგდების შედეგად ეკიპაჟის ყველა წევრი დაიღუპა

სუდანში ადგილობრივი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემით, გაეროს სამშვიდობო მისიის ვერტმფრენი ჩამოაგდეს. ეკიპაში ოთხივე წევრი – სავარაუდოდ, რუსეთის მოქალაქეები დაიღუპნენ. ინფორმაციას ამის შესახებ გაერო ავრცელებს.



გაეროს ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, ვერტმფრენი ჩამოგდებული იყო, იმ დროს, როდესაც ჯონგლიის აღმოსავლეთ შტატში დაზვერვით მისიას ასრულებდა.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა დაგმო ვერტმფრენზე თავდასხმა, „რომელსაც გაეროს მკვეთრი განმასხვავებელი ნიშნები ჰქონდა“. მან ასევე მოუწოდა სამხრეთ სუდანის ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ ჩაატარონ გამოძიება და ამ მოქმედებაში ბრალდებულები დასაჯონ.

ამავდროულად, სამხრეთ სუდანის ინფორმაციის მინისტრმა განაცხდა, რომ ამ ინციდენტის დეტალები ბოლომდე გამოვლენილი არ არის. აღსანიშნავია, რომ გაეროს ძალები, სამხრეთ სუდანის მოსახლეობას დახმარებას უწევენ, ვინაიდან ისინი ჯონგლიის შტატში, ორ დაპირისპირებულ სათვისტომოს შორის არსებული სისხლიანი გარჩევების ცენტრში აღმოჩნდნენ.

თავის მხრივ, მოსკოვი სამხრეთ სუდანისგან რუსული ვერტმფრენის ჩამოგდებაში დამნაშავეთა დასჯას მოითხოვს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სამხრეთ სუდანის ხელისუფლებისგან მოითხოვს, დაისაჯოს ყველა, ვინც გაერო-ს ვერტფრენის ჩამოგდებაში დამნაშავეა და მიიღოს ზომები, რათა მსგავსი რამ მომავალში აღარ განმეორდეს.

„მოვუწოდებთ სამხრეთ სუდანის ხელისუფლებას, ჩაატაროს ინციდენტის გამოძიება, დასაჯოს დამნაშავეები და მიიღოს ზომები, რომელიც გარანტი იქნება, რომ მომავალში მსგავსი არ განმეორდება“, – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# უკრაინაში ძლიერ ყინვას მსხვერპლი მოჰყვა

უკრაინაში ძლიერ ყინვას მსხვერპლი მოჰყვა. ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულია 83 ადამიანი, არაოფიციალური ინფორმაციით კი – გაცილებით მეტი. ასობით ადამიანი საავადმყოფოებშია გადაყვანილი.

კიევი თოვლითაა დაფარული. მოსახლეობა უსახლკაროებისთვის დროებითი საცხოვრებლების გამოყოფას ითხოვს. აღმოსავლეთ ევროპაში სიცივეები გრძელდება. „ფრანს პრესის“ ინფორმაციით, დეკემბრის დასაწყისიდან პოლონეთში 49 ადამიანი გარდაიცვალა. ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიაზე -10 გრადუსამდეა დაცემული. სააგენტოს ინფორმაციით, გარდაცვლილთა შორის უმეტესობა უსახლკარო ადამიანები არიან. ადგილობრივი სამართალდამცავები ქუჩებში დადიან და მოსახლეობას აფრთხილებენ, სად შეიძლება ყინვებს შეაფარონ თავი და ცხელი საჭმელი მიიღონ.

ადრეული ზამთარი და ყინვები ევროპაში ოქტომბრის თვის ბოლოდან დაიწყო, მაშინ პოლონეთში ყინვებს 15 ადამიანი ემსხვერპლა. მიმდინარე სამი თვის განმავლობაში ყველაზე ცივი ტემპერატურა ციმბირში დაფიქსირდა, -50 გრადუსი.

## ცფ3უქჯდბფპჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ



რძალი ინგა ნიკოლაიშვილი, შვილიშვილები მარიამი, სალომე, გიორგი, ძმები ავთანდილი, ლევანი, ვალიკო. დები სარა და ჟუჟუნა, ძმისშვილები, დისშვილები, სიძეები ოჯახებით იუწყებიან

**მაყვალა ლევერაშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: ორშაბათს, 24 დეკემბერს;

გამოსვენება: სამშაბათს, 25 დეკემბერს.

ცფ3უქჯდბფპჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ 3ბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7
რდბპბს უფპლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფ3ლტ8

# მიხაილ პროხოროვს მოსკოვის მერობა სურს



საპრეზიდენტო არჩევნებში წარუმატებლობის შემდეგ, რუსი პოლიტიკოსი და მილიარდერი, მიხაილ პროხოროვი ბედის ცდას მოსკოვის მერის არჩევნებში აპირებს. პროხოროვის გეგმით, 2014 წელს მას მოსკოვის საქალაქო დუმის არჩევნებში სურს მონაწილეობა, სადაც ის შეეცდება დეპუტატი გახდეს, ხოლო შემდეგ მოსკოვის მერის პოსტისთვის იბრძოლებს, რომლის არჩევნებიც 2015 წელს გაიმართება.

პროხოროვის სურვილს რუსი პოლიტიკოსები არ გაუკვირვებია. „ის ჭკვიანი, თავდაჯერებული ადამიანია, ხოლო მისი მოსვლა მოსკოვის მმართველობაში, მხოლოდ წაადგება ქალაქს“, – აცხადებენ მოსკოვის ამჟამინდელი დუმის დეპუტატები. მათივე თქმით, პროხოროვმა ბევრს მიაღია ბიზნესში და თუ მას მერად აირჩევენ, პოლიტიკოსი შეეცდება წარმატების მოპოვებას ამ თანამდებობაზეც.

46 წლის მიხაილ პროხოროვი, რუსეთის წამყვანი საინვესტიციო ფონდის „ონექსიმის“ პრეზიდენტი და რუსეთის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, „ფორბსის“ 2009 წლის მონაცემებით, რუსეთის ყველაზე მდიდარ ადამიანად დასახელდა.

ხოლო 2011 წლის მონაცემებით მან პირველობა ვლადიმირ ლისინს გადააბარა. მის მფლობელობაში 18 მილიარდი დოლარი შედის.

# პაკისტანში მოგზაური ცოცხლად დაწვეს

პაკისტანის აღმოსავლეთ პროვინცია სინდში გამძვინვარებულ ბრბო პოლიციის განყოფილებაში შეიჭრა და ცოცხლად დაწვა მამაკაცი, რომელიც ყურანის შეურაცხყოფის ბრალდებით იყო დაკავებული. განცხადება ამის შესახებ ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა უსმან განიმ გააკეთა.

პოლიციის მონაცემებით, მამაკაცი მოგზაური იყო, რომელიც სოფელ სიტას მეჩეთში ღამის გასათევად გაჩერდა. მეორე დღეს სოფლის მაცხოვრებლებმა მეჩეთში მუსულმანების წმინდა წიგნის ნამწვავები აღმოაჩინეს, მათ სასტიკად სცემეს მოგზაური და იგი პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. ამის შემდეგ დაახლოებით 200 მდე ადამიანი მივიდა პოლიციის განყოფილებაში, შევარდა შიგნით და მოგზაური ცოცხლად დაწვა.

ამ ფაქტზე დაკავებულია 30 ადამიანი და 7 პოლიციელი. პოლიციელებს გულგრილობაში ედებათ ბრალი.

პაკისტანი უპირატესად მუსულმანური ქვეყანაა, რომელიც განლაგებულია მდიდარი წარსულის მიწაზე. ოდესღაც აქ დაფუძნდა ადამიანთა ერთ-ერთი პირველი დასახლება, ხოლო მოგვიანებით ჩაისახა ორი მსოფლიო რელიგია – ინდუიზმი და ბუდიზმი.

პაკისტანის სახელმწიფო წარმოიქმნა 1947 წელს, როდესაც რელიგიური ნიშნით ორად გაიყო ბრიტანეთის ინდოეთი. პირველი ომი ინდოეთთან ქაშმირის გამო დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო. ეს არის ჩრდილოეთი პროვინცია, რომელიც ძირითადად მუსულმანებითაა დასახლებული, მაგრამ ადგილობრივი რაჯას ნებასურვილით გაყოფისას ინდოეთის შემადგენლობაში მოექცა. 1965 წელს მხარეებმა კვლავ მოსინჯეს თავისი ძალები. 1971 წლამდე იგი ორი ანკლავისაგან შედგებოდა – აღმოსავლეთი პაკისტანი და დასავლეთი პაკისტანი. ინდოეთის ხელშეწყობით დასავლეთი პაკისტანი დამოუკიდებელ ბანგლადეშის რესპუბლიკად გამოცხადდა. 80-იან წლებში პაკისტანის აქტიური მონაწილეობა სსრ კავშირის წინააღმდეგ ავღანეთის ოკუპაციის დროს, საერთაშორისო ფინანსური დახმარებით იქნა წახალისებული, რაც „ცივი ომის“ დასრულებისთანავე საგრძნობლად შემცირდა.

# მედვედევმა აპოკალიფსის გადადება ყველას მიულოცა

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა აპოკალიფსის გადადება ყველას მიულოცა, – იუწყება საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტი“. წყაროს ცნობით, მედვედევი ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა. საუბრისას ერთ-ერთმა მეწარმემ, შპს „ფაბრიკანტ.რუ“-ს გენერალურმა დირექტორმა სერგეი გაბესტრომ ორგანიზაცია „საქმიანი რუსეთის“ სახელით მედვედევს ახალი წლის დამდეგი დღესასწაული მიულოცა. პასუხად მედვედევმა ყველას მიულოცა ის, რომ სამყაროს შეპირებული აღსასრული არ დაუდგა.



„სამყაროს აღსასრული ჯერაც არ დამდგარა. ამას ყველას გილოცავთ“, – აღნიშნა დიმიტრი მედვედევმა.

გაბესტროს თქმით, მას ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა, რაზეც დიმიტრი მედვედევმა უპასუხა: „მიუხედავად ამისა, შიში ყველას ჰქონდა“.

თუმცა, როგორც სააგენტო წერს, იმაზე საუბარი, რომ აპოკალიფსმა გვერდზე ჩაგვიარა, ნაადრევია. მექსიკის ანთროპოლოგიისა და ისტორიის ნაციონალური ინსტიტუტის მეცნიერების ინფორმაციით, მაიას ტომის კალენდრების ციკლის ცვალებადობას კვირამდე უნდა ველოდოთ. რადიო „მაიაკის“ ცნობით, ამის მიუხედავად, მექსიკაში, მაიას არქეოლოგიური ძეგლებთან ადგილობრივი მოსახლეობა ახალი ეპოქის დასაწყისის აღსანიშნავად სადღესასწაულო ღონისძიებებს მართავს. რუსეთის მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი, დეკანოზი ვიგილიანსკი აცხადებს, რომ სამყაროს აღსასრული აუცილებლად დადგება, მაგრამ განუსაზღვრელ მომავალში.

„ჩვენ უკვე შევაბიჯეთ აპოკალიფსურ დროში, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ფინალურ სტადიამდე შეიძლება, ათასწლეულები გავიდეს. მაგრამ ქრისტიანებს გვჯერა იმის, რომ ეს მოხდება, მაგრამ არა ახლა“, – აღნიშნა მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ტატიანინსკის ტაძრის წინამძღვარმა.

მანამდე კი, არგენტინის საკურორტო ქალაქ სან-კარლოს-დე-ბარილოჩეში „აღსასრულის“ მოლოდინში მაღაზიებს ძარცვავდნენ. სამყაროს დასასრულით შეშინებულ არგენტინელებს მაღაზიებიდან ყველაფერი გაჰქონდათ, მათ შორის მაცივრები და ტელევიზორებიც.

რიო-ნეგროს პროვინციაში სამართალდამცავებმა გამკლავება ვერ შეძლეს ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, რომლებმაც სურსათის მაღაზიებიდან მთელი მარაგი გაზიდეს და სპეცრაზმელების გამოძახება გახდა საჭირო.

ერთ-ერთი არგენტინული გამოცემის ინფორმაციით, ანალოგიური ფაქტები დაფიქსირდა სანტა-ფეში, ენტრე-რიოსში და ჩაკოში, სამართალდამცავები ჰაერში ისროდნენ, რათა აღელვებული მოსახლეობა დაეწყნარებინათ.

# სკოტლანდ-იარდი ფინანსური კრიზისის გამო შტატებს ანახევრებს

ბრიტანული გამოცემა „ლონდონ ივნინგ სტანდარტის“ ინფორმაციით, სკოტლანდ-იარდის განყოფილებები იკვეცება და ლონდონის ყველა რაიონში 133-დან 71-მდე შემცირდება. განახევრდება აგრეთვე ღამის განყოფილებები, გარდა ისეთი რთული უბნებისა, როგორიცაა ლამბეტი, ჰარინგი, საუთუარკი, რომელიც შედარებით, რთულ და კრიმინალურ უბნებადაა მიჩნეული.





სკოტლანდი იარდი იძულებელი გახდა ეს გადაწყვეტილება ბრიტანეთის პარლამენტის მიერ დამტკიცებული ახალი საბიუჯეტო პროექტის შედეგად მიიღო, რომლის მიხედვითაც, საბიუჯეტო დაფინანსება ყველა სახელმწიფო ორგანიზაციას უმცირდება.

გარდა შტატების შემცირებისა, სკოტლანდ-იარდი სათაო ოფისსაც იცვლის და შედარებით პატარა შენობაში გადადის, ძველი შენობა კი გაიყიდება. გამოცემა ასევე საუბრობს ბრიტანეთის თავდაცვის დაფინანსების შემცირებაზე. დიდ ბრიტანეთში სამხედრო ხარჯების 8%-მდე შემცირებას ვარაუდობენ.

„სკოტლანდ იარდი“, დიდი ლონდონის საქალაქო პოლიციის სამსახურის შტაბ-ბინაა. მოთავსებულია 20-სართულიან საოფისე ბლოკში ბროდვეისა და ვიქტორიის ქუჩების გასწვრივ ვესტმინსტერში, პარლამენტიდან დაახლ. 450 მეტრში. განთქმული მოტრიალე აბრა (სურათზე), რომელიც ხშირად ჩანს ტელევიზიით და კინოფილმებში, შტაბ-ბინის მთავარი შესასვლელის წინ დგას ბროდვეიზე.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**ორშაბათი 24 დეკემბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ. **"დუელი ქალაქში"** **17.00** "სპიკერი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ. **"საიდუმლო გამოძიებანი"** **21.00** ტ/სერ. **"სპირალი"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **00.00** "საფარი" **00.50** მხ/ფ **"სიამაყე და დიდება"** (კ.ფარელი) **03.00** მხ/ფ **"როკენროლა"** **05.00** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწის სიღრმეში"

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "მონრეალი" ტორონტო" **09.00** მხ/ფ **"მკვლელობა განაჩენის გარეშე"** **10.40** მხ/ფ **"ჩვეულებრივი სასწაულები"** **12.20** მხ/ფ **"ჩვენი სახლი"** **14.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" მე-7 ნაწ. **15.00, 17.00, 20.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" მე-5 ნაწ. **19.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" მე-8 ნაწ. **22.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **00.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ/ფ **"მასწავლებელი"** I სერ. (ტიტ.)

**08.00** ან.ფ. "პიტერ პენი და მეკობრეები" 59" მე–60 სერ. **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **09.15** ან. ფ. "სამსონი და ნეონი" **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"კამელოტი"** **14.45** სერ. **"თვალი არ მომაცილო"** **15.50** სერ. **"მოჯადოებული"** **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **19.05** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ. **"ევროტური"** (ს. მეჰლოვიჩი) **01.50** მხ/ფ. **"აგვისტო"** (ნ. ჰარისი) (15) (ტიტ.) **03.15** მუსიკა

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50, 20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **22.00** ქ.მხ/ფ. **23.00** შიშის ფაქტორი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** მხ/ფ **"როცა აყვავდა ნუში"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35, 21.15** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"პასტორალი"** **13.40** კონცერტი -გადავარჩინოთ მოქვის სახარება **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი **"ჩემი პატარა ქალაქი"** **17.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.50** დებიუტი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** გუთნისდედა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ლუკას სახარება"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "ღალიის ღვთისმშობელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "საუბრები პატრიარქთან" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **02.00** ირაო

მაესტრო **07.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00, 01.00, 03.00, 05.00, 06.00** ახალი ამბების კოლაჟი. **07.30, 10.35, 13.25, 15.30, 17.35, 20.45, 21.40, 23.50, 00.25, 02.45, 04.25, 05.25, 06.25** უცხოეთის ამბები. **10.00, 20.10, 23.15** ღია კარის დღე. **10.50** პრეს-პრესი. **12.30, 13.05** აკრედიტაციის გარეშე. **14.05** დოკ.ფ. **16.05** "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად. **17.05** მონიტორის ჟურნ. გამოძიება. **19.00, 03.25** დისკუსია – სტუდია "რე". **22.00, 01.30** ნანა ლეჟავას "კვირის რეპორტაჟი".

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


24 dekemberi

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6566
ევრო — 2,1842
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870
რუსული რუბლი — 5,3463

აღმოსავლეთ საქართველო: დღისით წვიმა, დღისით — 5–7, ღამით — 2–4.
დასავლეთ საქართველო: დღისით წვიმა, დღისით — 15–17, ღამით — 13–15.
სამხრეთ საქართველო: დღისით წვიმა, დღისით — 6–8, ღამით — 0–2.




ამინდის პროგნოზი 24 დეკემბრისთვის


# 21 დეკემბრიდან

## სერია დიდი ქართველები

„ახალ თაობასთან“ ერთად

## ვახტანგ მეექვსე

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი






# მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ბიბლია ოქროს ხანა სამტომეული

# მალე! მალე! მალე!

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები


## ბერა სადებიუტო ალბომს გამოუშვებს

ეკა ირემაშვილი

რეპერი ბერა, რომელიც თინეიჯერებში ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს და ათასობით ფანიც ჰყავს, უახლოეს მომავალში სადებიუტო ალბომს გამოუშვებს. ალბომს „გპირდები“ ეწოდება და მას „ჯორჯიან დრიმს სტუდიო“ გამოსცემს.




რეპერის პირველი სოლოკონცერტის მსგავსად, ალბომის გამოსვლაც რამდენჯერმე გადაიდო. ჯერ იყო და გოგონების გულთამპყრობელმა თბილისის სტადიონზე დაგეგმილი კონცერტი რამდენჯერმე გადადო, ახლა კი სადებიუტო ალბომის გამოშვების გადადებაც რამდენჯერმე მოუწია. თავდაპირველად „გპირდების“ გამოშვების თარიღად 17 დეკემბერი სახელდებოდა. სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“ ბერა წერდა:

— მე და ჩემი გუნდი დაუღალავად ვმუშაობთ იმისთვის, რომ წარმოგიდგინოთ ჩემი პირველი ალბომი „გპირდები“. ტექნიკური მიზეზების გამო, ალბომის გამოცემა გადადებულია და


გაგრძელება მე-10 გვერდზე


თარაზულად: 1. შტატი აშშ-ში; 6. კბილის ექიმი; 7. სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული პრაქტიკაზე კლინიკაში; 9. რაიმე საგნის მონახაზი; 10. ლარნაკი; 11. საგანგებო საცავი ღვინის ქარხანასთან; 13. ცენტრალური ევროპის ებრაელთა ენა; 15. ჩრდილოეთის ირმების ზოგადი სახელწოდება აშშ-ში; 17. კამათი, დავა; 18. ძვ.ბერძნული სიმებიანი საკრავი; 19. ქალაქი კალიფორნიის შტატში; 20. ტკბილი, ალკოჰოლიანი სასმელი.

შვეულად: 1. სამხედრო წოდება; 2. ვულკანი იტალიაში; 3. ხორხის ლორწოვანი გარსის ანთება; 4. ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი; 5. ჯგუფური გასეირნება ქალაქგარეთ; 8. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 9. შტატი აშშ-ში; 12. მლაშე კრისტალური ნივთიერება; 14. შენობაში ძირს დაგებული ჰორიზონტალური ფენა; 16. სუბტროპიკული მცენარე მოყვითალო, ტკბილი კურკოვანი ნაყოფით.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




fcnhjghjuyjpb @$

წარმატებული დღეა

**ვერძი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — საღამო მშვენიერი იქნება. **ლომი** — თქვენს ცხოვრებაში სიახლეა, ბედს არ უჩივით. **ქალწული** — ახალი საქმე საინტერესოდ მოგეჩვენებათ. **სასწორი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ღრიანკალი** — სახლში კარგი ამბები გელოდებათ, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** — ფულს გაუფრთხილდით, ერთბაშად ნუ დახარჯავთ. **თხის რქა** — გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლეც. **მერწყული** — ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები თავს გევლებიან. **თევზები** — მეგობრებისს წრეში თავს ლაღად იგრძნობთ, მათგან კარგ ამბებს გაიგებთ.

## შენგელიას სამმაგი დუბლი ამერიკაში

თორნიკე შენგელია „ბრუკლინ ნეთსმა“ ნბა-ს განვითარების ლიგაში გაანათხოვრა. პირველივე შეხვედრაში ქართველმა ფორვარდმა დაამტკიცა, რომ ბრუკლინელები არ შეცდნენ, როცა ის დრაფტზე აიყვანეს და შემდეგ კონტრაქტიც გაუფორმეს. თორნიკემ „სპრინგფილდ არმორში“ დებიუტი სამმაგი დუბლით აღნიშნა და მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.



შენგელიამ სპრინგფილდელებს 22 ქულით, 12 პასით და 10 მოხსნით ულიდერა, თუმცა ქართველი ფორვარდის დიდებული გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. „არმორმა“ „ერი ბეისთან“ 119:127 წააგო.

როგორც ირკვევა, „ბრუკლინი“ უკვე აპირებს შენგელიას შემადგენლობაში დაბრუნებას.

„ატლანტა ჰოუქსმა“ კი, აღმოსავლეთში უშუალო კონკურენტი „ჩიკაგო ბულსი“ დაამარცხა. ზაზა ფაჩულიას გუნდი კონფერენციაში მესამეა, ჩიკაგოელებს კი ერთით მეტი მარცხი ჰქონდათ და თუკი ამ თამაშს მოიგებდნენ, მესამეზე თავად აღზევდებოდნენ. თან „ბულსი“ ნიუ იორკიდან გამარჯვებული ჩავიდა ატლანტაში და ცხადია, კვლავ მოგებას გეგმავდა, მაგრამ მასპინძლებმა ამის საშუალება არ მისცეს.

ჩიკაგოელებმა საწყისი მეოთხედი 4 ქულით მოიგეს, თუმცა მომდევნო ორ პერიოდში ისეთი ამბები დაატრიალეს ატლანტელებმა, რომ მატჩის ბედი მესამე 12-წუთეულის ბოლოსვე გადაწყდა. მეორე და მესამე მეოთხედები მასპინძლებმა ჯამში 61:33 მოიგეს და გამარჯვება ნაადრევად გაინაღდეს. საბოლოოდ ჯორჯიელებმა 92:75 იმარჯვეს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მესამე ადგილი გაიმყარეს — 16 მოგება, 9 მარცხი.

საქართველოს ნაკრების ცენტრმა გამარჯვებაში არცთუ მოკრძალებული წილი დაიდო. ფაჩულია სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე მთლიანობაში 21 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა 6 ცდიდან 2 ორქულიანი მიითვალა, 2 საჯარიმო კი უშეცდომოდ ესროლა. 6 ქულასთან ერთად ფაჩულიას 8 მოხსნა, 4 პასი და 3 ჩაჭრა ჰქონდა, ბურთი კი 2-ჯერ დაკარგა. ატლანტელთა ბომბარდირი ალ ჰორფორდი გახდა, რომელმაც 20 ქულას 10 მოხსნაც მიაბა.

მ. ქ.